



ახალი მუხრანის 23-28

F-128  
1913

სამეურნეო ურნალი

# მოსავალი

წელიწადი  
მესამე

წელიწადი  
მესამე

№№ 13—18.

ივლისი, აგვისტო ღ საჭიფფფარი

1913 წ.

## ზინაარსი:

ვ. რცხილაძე.....	} მოხსენება ქართლის აკრძანების ნამუ- შავარის შესახებ .....	3
პ. მელია .....		3
გ. ნახუცრიფვილი...	მოხსენება ქართლის ინსტრუქტორისა..	8
ვ. რცხილაძე.....	იონჯა და ესპარტეტი.....	16
ვ. რცხილაძე.....	სამეურნეო თათბირი საგარეჯოში.....	22

ურნალი წელიწადში ღირს—3 მანეთი.

მისამართი: Тифлись, Барятинская, 5.

ტფილისი, 1913 წ.



8.21  
158  
1913

# სამეურნეო ჟურნალი

## მოსავალი

იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ

### თანამშრომელთა საპუბლიკაციო.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორექსონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზად არის აღმოუჩინოს „მოსავალი“-ს მკითხველებს ყოველ გვარი შუამაგლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექენა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივ სტრიქონი გენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **სამი შაური**.

წლიური აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით**.

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

ელექტრო-მბეჭდავი წიგ. გაბომც. ქართვ. ამხანაგობისა.

1913



F-5390

# მღზუნება

ქართლის აგრონომის ნამუშავერის შესახებ.

თანახმად ქართ. სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გარდაწყვეტილებისა გავემგზავრენით ქართლის რაიონის აგრონომის ნამუშავერის დასათვალისწინებლად შ მარიამობისთვის.

წასვლა-მოსვლას და იქ რაიონში სიარულს მოვანდომეთ სამნახევარი დღე: შ მარიამობისთვის ვიდრე ს-მღე. სრული სამი დღე ვმოგზაურობდით რაიონში ცხენებით თითქმის დაუსვენებლივ. გომიდან გასულები პირველ დღეს დილით გავემგზავრენით ოსიაურისაკენ, აქედან მერე ვაყა-აბისზე გავლით მივედით თამარაშენში, სადაც ვილაშქრებთ; მეორე დღეს ვუწიეთ საქაშეთამდე, სადაც დავრჩით ღამე-დღამით; მესამე დღეს ვინახულეთ რუისი, ქარელი, კეხის ჯვარი, შემდეგ დავბრუნდით ისევ ქარელის სადგურზე და საღამოს მატარებლით წამოვედით ტფილისში.

ნახული ადგილების განაპირა საზღვარი არ წარმოადგენს დიდ სიშორეს, მაგრამ ამ საზღვრებში ყველა დამუშავებულ ადგილების ნახვა ისე დიდ ღროს თხოულობდა და ისე ძნელი იყო იმ სიცხე-პაპანაქებაში ცხენებით სიარული, რომ სრულებით მოვიქანცვნი და ქარელიდან გომში ასვლა ვეღარ შევძელით, რომ აგარა-მოხისზე გაგვევლო (15—16 ვერსი) და იქაური ნამუშავერიც დავვეთვალისწინებინა.

ვმოგზაურობდით: ჩვენ ორნი საბჭოს მიერ ამორჩეულნი, რაიონის აგ-

რონომი ელ. ვ. კარბელაშვილი და ბელგის უმაღლეს აგრონომიულ სასწავლებლის მოწაფე ბ. ორჯონიკიძე, რომელსაც დიდად ეინტერესებოდა ნამუშავერის ნახვა და გვთხოვა ნება მიგვეცა გამოგვეყოლოდა. სტუდ. ორჯონიკიძე მოგვეცა სოფელ ვაყამდე და შემდეგ კი ვეღარ შესძლო სიარული.

თამარაშენიდან იმგზავრა ჩვენთან დამუშავებულ ადგილების სანახავად თავადმა ანტონ ფალავანდიშვილმა.

ქართლის აგრონომის ნამუშავერი იყოთა ორ რიგად: ერთგან მას მხოლოდ ხელმძღვანელობა გაუწევია, რჩევა-დარიგება მიუცია შემუშავების შესახებ, მეორეგან კი თვით უმუშავნია თავისი კაცებით და სამეურნეო მანქანა-იარაღებით: უხნავს, უფარცხავს, უთესია, უთოხნია მანქანით, უცეხავს სიმინდი, უროშინებია, დაურკვევია სათესლე პური და სხ.

აგრონომს ჩაწერილი აქვს უბის წიგნში რომელი სამუშაო როდის მოუხდენია, მხოლოდ სარგებლობა ამ წიგნით უცხო სათვის გასაჭირი იქნება და სასურველია რომ ამ ცნობების ჩასაწერად საკუთარი ჟურნალი ჰქონდეს შემოდებული.

აგრონომს უმუშავნია შემდეგ კულტურებზე: შემოდგომის პური და ქერი, საკვები ბალახები. იონჯა და ესპარტეტი, ერთგან დათესილი აქვს ცალკე ლობიო და ბევრ ალაგას ქართული სიმინდი.

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სარ. რესპუბ.  
განათლების



პური და ქერი ურკვევია და დაუ-  
თესნია მწკრივად მანქანით, ხოლო  
სიმინდი კი დაუთესნია მანქანით კი-  
დევაც და კიდევაც უთოხნია მანქანით.

რო ავედით პური და ქერი უკვე  
მომკილი იყო ყველგან. კომისიას შე-  
ეძლო მხოლოდ ნამჯის გაშინჯვა ნა-  
ყანობში და მეზობლად მდებარე ნა-  
ყანობთან შედარება. ამ გზით კომი-  
სიამ დასკვნა ის, თუ როგორი უნდა  
ყოფილიყოს მოსავალი, ე. ი. რამდე-  
ნად ხშირი იყო ყანა, რამდენად და-  
ბალი ან მაღალი, ხოლო რაც შეეხე-  
ბოდა პურიანობასა და თავთავის სი-  
დიდ-სიპატარავეს ამის შესამოწმებლად  
კომისია შინჯავდა კალოებზედ მო-  
ტანილს იმ მინდვრებიდან ძნას, რო-  
მელიც ცალკ-ცალკე იდგა მწკრივად  
დათესილი მანქანით და ხელით მოფე-  
ნილი საკონტროლოდ.

თავთავზედაც ეტყობოდა და, ვისაც  
გაელეწნა ორიოდ კალო, ისინიც  
ამბობდნენ, რომ მწკრივად დათესილ  
ყანას თითქმის ისეთივე გამოსავალი  
აქვს, როგორც ხელით დათესილს, ამ  
უკანასკნელზე მეტი და არა ნაკლებიო,  
ხოლო დიდია განსხვავება თესლის  
რაოდენობაში: მანქანით თესვაში ზო-  
გან მხოლოდ ნახევარი თესლი დახარ-  
ჯულა იმისი, რაც ხელით დათესვაში  
იხარჯებოდა, საზოგადოდ კი ყველგან  
ერთი მესამედით ნაკლები თესლი კმა-  
რობს იმაზედ, რაც ხელით თესვის  
დროს უნდებოდა, ასე მაგალითად სადაც 7  
ლიტრა თესლი უთესნიათ ხელით, იქ  
მანქანით მხოლოდ 3 ლიტრა ხორბა-  
ლი მოსდომებია იმოდენავე მიწოდროს  
დასათესად.

მანქანით დათესილ პურსა და ქერს  
სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა  
ზომის ნახნავეები სჭერია: ზოგან 16

დღისა ყოფილა დათესილი, ზოგან 7  
დღისა, ზოგან ამაზე ნაკლები. პურის  
მწკრივად დათესვის მსურველი უფრო  
მეტი ყოფილა, ვიდრე აგრონომს შეე-  
ძლო დაეკმაყოფილებინა. მანქანით  
პურის თესვას უკვე გაუდგამს ფესვი-  
რაიონში და, იმედია, მომავალში უფ-  
რო მეტი მემამულე გადავა მანქანით  
პურის თესვაზე.

როგორც ეტყობა, ფებს იკიდებს  
რაიონში აგრედვე საკვები ბალახების  
იონჯისა და ესპარტეტა ბალახის თე-  
სვაც. კომისიამ ინახულა საკვები  
ბალახები დათესილი შარშან და წლე-  
ულ კერძო პირებისაგანაც დამოუკი-  
დებლივ რაიონის აგრონომთან და მის  
რჩევითა და დახმარებით დათესილიც.  
გარდა ორიოდ ადგილისა, სადაც ან ნა-  
ხნავი არ დაუმზადებიათ კარგად, ან  
საქონელს უვლია და გაუფუჭებია,  
ყველგან საკვებ ბალახებს კარგი პირი-  
ჰქონდათ, ზოგან 3 ჯერაც კი გაეთიბ-  
ნათ უკვე შარშან დათესილი იონჯა.  
საკვები ბალახები სთესია სარწყავებზე,  
ხოლო ერთგან ურწყავ ადგილზედაც  
ვნახეთ იონჯა და ესპარტეტი დათე-  
სილი 7—8 დღიური. ბალახები ყველ-  
გან თანასწორად არის ამოსული და  
მეტად საიმედო სანახაობა აქვთ, თუ  
მივიღებთ მხედველობაში წლევეანდელს  
არა ჩვეულებრივ გოლვას და ქვენა  
ქარს, რომელიც აშრობს და ახმობს  
ქართლში ყველაფერს.

საკვებ ბალახების თესვა მოუწყვი-  
რაიონში საცდელად საიმპერატორო  
კავკასიის საზოგადოებასაც. საერთოდ  
კარგა ზომის მინდვრებია რაიონში  
მოთესილი საკვები ბალახებით. მარტო  
თავად გ. ბაგრატიონს ექნება დათე-  
სილი იონჯა და ესპარტეტი არა-ნა-  
16—18 დესეტინა.



როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ჩვენს აგრონომს დათესილი აქვს ერთგან მანქანით ქართული კუტი ლობიო. ადგილი ურწყავია, მოსავალს არა უჭირდარა. მოვლენა იგი საყურადღებოა იმ მხრით, რომ შეიძლება ამ გზით ცერცვაგვარ მცენარეების თესვა შევიტანოთ მორიგეობით თესვაში. პური, ქერი, სიმინდი, ლობიო, უგრეხელა, ცერცვი, მუხუდო, გოგრა, იონჯა, ესპარცეტი—აი ელემენტები, რომელთა ზედაც უნდა აშენდეს მთელი სისტემა ესოდენ საქირო მორიგეობით თესვისს რაიონში.

ქვიშხეთიდან დაწყობილი ოსიაური-ვაყა-აბისი-თამარაშენი, მთელი ზემოფრონის ხეობა, თამარ დედოფლის ველი, ქვემო ფრონის ხეობა, საქაშეთი, რუისი, დიდი და პატარა ლიახვის ხეობები და ამათ გასწვრივ მტკვრის გაღმა მინდვრები ვიდრე ბორჯომის შესახვევამდე სულ ერთ პლატოს წარმოადგენენ, რომელსაც წინაღ „ქვემო ქართლს“ ეძახდნენ ახალციხის მაღალ პლატოსთან (ზემო ქართლთან) გასარჩევად. თუ ეს ვეებართელა მინდორი ცხინვალიდან კეხის ჯვარამდე სხვა და სხვა ხეობებთან არის დაყოფილი ეს აიხსნება იმით კი არა რომ ამ ხეობებ შორის რაიმე მთებია, არამედ მით რომ ყველა აქ მონადენი მდინარეები სათავეშივე არიან მთის კალთებით დაყოფილნი და მოდიან სხვა და სხვა მიმართულებით გაერთიანებულ მინდორზე. ამიტომარის რომ დიდი ლიახვის წყალი რწყავს ფრონის სანაპიროებსაც და ფრონს იქით მდებარე მინდვრებსაც. შუაგულ საქართველოს მინდვრის ასეთი გაერთიანება ჰქმნის მის ჰავა-ნიადავის ერთნაირობასაც. მთელი ეს უგანდერესი მინდორი შეიძლება ერთ გაბმულ ბაღათ იქცეს.

ჩვენს მოვალეობათ უნდა ჩავთვალოთ იმის გამორკვევა, თუ რის დარგვა-დათესა უფრო ხელსაყრელია ამ რაიონისათვის, საითკენ უნდა მიესწრაფებოდეს აქაური ადგილობრივი მეურნეობა. პურს აიღებთ, თუ ხილის ბაღს ამ დიდ მინდორზე, ყველა ერთნაირად კარგად მოვა. საკითხი მხოლოდ იმაშია, დროთა და გარემოებათა მიხედვით რა რას ვამჯობინოთ, ან რომელ დარგს რამოდენა განვითარება მივცეთ, რა გეგმით ვიმუშაოთ.

უფრო მეტი უშრომნია ქართლის აგრონომს სიმინდის მწკრივად დათესვაზე მანქანით. სიმინდი არის ნათესი სარწყავებშიაც და ურწყავ ადგილზედაც. თითქმის ყველგან მწკრივად დათესილ სიმინდით მინდორს აქვს თავის საკონტროლო ხელით დათესილი სიმინდიც.

მოსავალი ამ სიმინდებში ორ ალგას სრულებით მომცდარა, ამოსული სიმინდი ივარგებს ჩეჩქად და ტაროს კი არ გამოიტანს. დანარჩენს ადგილებში დათესილ სიმინდებს საერთოდ არაუშავთრა. მშვენიერი სანახაობა ჰქონდა სიმინდს კეხის ჯვარში, სადაც 7 დღიურია დათესილი მწკრივად, მხოლოდ საკონტროლო ადგილი (ხელით დათესილი) არ იყო აქ სამწუხაროდ.

სიმინდს, მიხედვით იმისა სარწყავ მიწაზე ითესება იგი, თუ ურწყავზე, დასათესად თავისი დრო აქვს ამინდთან დაკავშირებული. სარწყავ მიწაზე, როგორც უფრო გრილზე სიმინდი თითქმის ორი კვირით გვიან ითესება, ვიდრე ურწყავზე. წლეულ ურწყავ მიწებზე სიმინდები დათესილა აპრილის მეორე ნახევრიდან, სარწყავებზე კი მაისის პირველ რიცხვებიდან ვიდრე 20-მდე.



მაგრამ მთელი 20 დღე მაისისა მეტად ხანგრძლივი დროა ამ შემთხვევაში. ყველა იმ სიმინდებს, რომელიც მაისის 10-მდე დაუთესიათ, დიდი გნსხვაება აქვთ გვიან დათესილებთან. მაისის 10-მდე დათესილ სიმინდს, თუ სიმინდი კარგია, თითო ჩეჩქზე გამოუტანია ორ-ორი ტარო, ზოგან სამიც, ხოლო ყველაზე თითო ტარო მაინც არის უეჭველად და სიმინდი უკვე საქმელად იყო გამხდარი. გვიანა სიმინდები კი მხოლოდ ეხლა იწყობენ ტაროს გამოტანას და ვინ იცის რამდენს ან როგორ ტაროს გაიკეთებენ ამ არა-ჩვეულებრივ გვალვაში.

ჩვენს აგრონომს სიმინდი თითქმის ყველგან 10 მაისის შემდეგ დაუთესნია. სადაც მისგან დათესილი სიმინდია კარგი, იქვე გლეხების სიმინდები მაისის ათამდე დათესილები გაცილებით სჯობიან. ქარელში, მაგალითად, თავად ციციშვილის სიმინდის გვერდზე, რომელიც ქართლის აგრონომისაგან არის დათესილი და მანქანით ორჯერ გათოხნილი, გლეხების სიმინდებს, მეტადრე იქ, საცა შიგ ლობიო და გოგრაც სთესია, ტაროები უკვე საქმელად შემოსული ორ-ორი, სამ-სამი ეყარათ თითოეულ ჩეჩქზე. მოსავალი ამ ადრეულა სიმინდებისა უკვე გამორკვევული და უზრუნველყოფილია, გვიან დათესილებზე კი ჯერ არა ითქმისრა გადაწყვეტით, გარნა ერთისა, რომ ესენი მაინცა და მაინც ვერ აჯობებენ ადრეულა სიმინდებს.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ყველა იმ სიმინდებში, რომელიც ქართლის აგრონომს დაუთესნია, თუ არ შემთხვევით, არცერთი არ არის იმ დროს დათესილი, როცა უნდა დათესილიყო; არცერთი არ არის იმ დროს

და იმდენჯერ გათოხნილი, როდესაც და რამდენჯერაც უნდა გათოხნილიყო; არცერთისათვის, თუ არ შემთხვევით, მიწა ისე არ მოხსულა და არ დაფარცხულა, როგორც უნდა მოხსულიყო და დაფარცხულიყო; არცერთი სიმინდი არ გვინახავს სრულებით ისე დაყენებული პირველ გათოხნაშივე, როგორც წესია, რომ სიმინდი არ აჩაღავებულიყო და იმდენი ტარო გამოეტანა, რამდენიც უნდა ჰქონოდა. ზოგან მიწა შემოდგომის მაგიერ გაზაფხულზე მოუხნავთ ერთი დღით წინ დათესამდე, ზოგან დაუგვიანია გათოხნას, ზოგან არ მოურწყავთ თავის დროზე და ყველა ამისა გამო ზოგან ხელით დათესილი სიმინდი სჯობია მანქანით დათესილს, ზოგან მეორე პირველს, ზოგან ერთხელ გათოხნილი წინ უსწრობს ორჯელ გათოხნილს, ზოგან მეზობლის სიმინდი, იმავე დროს დათესილი, სჯობნის აგრონომის მიერ დათესილ სიმინდს და სხ. სოფელ კეხის ჯვარში, მაგალითად, აგრონომის მიერ დათესილ სიმინდის პატრონი იმერელია, რომელმაც სიმინდის დამუშავება კარგად უნდა იცოდეს. ვკითხავთ: რატომ პირველად რომ სთოხნილით არ გაათხელეთ სიმინდი წესიერად, მაშინ ხომ სამ-სამი და ოთხ-ოთხი ღერი არ იქნებოდა ესე შექუჩებული და ასე არ აჩაღავდებოდა სიმინდი? — „ვიცი, ბატონო, მაგრამ სიხარბემ გვძლია, ვიფიქრეთ: დეე ცოტა წამოიზარდოს და მერე მოვჭრით, რაც მეტი იქნება, ჩალათ გამოგვადგება, მაგრამ როგორც ვფიქრობდით ისე ვეღარ მოვახერხეთ და აგერ ეხლა ვხედავთ, რა ძრიელ ბევრი დააკლდა ამით ჩვენს მოსავალს“.

ამას და გარდა არცერთი მიწა, რომელზედაც უმუშავნია საცდელად და



საჩვენებლად ჩვენს აგრონომს, თუ არ შემთხვევით, არა დევს იმ გეზიან ადგილზე, რომელსაც აგრონომი ამოარჩევდა, უკეთეს ეს არჩევანი მის ნებაზედ იქნებოდა მინდობილი. ყოველი საცდელი-საჩვენებელი მუშაობა კი სულ სხვა პირობებს თხოულობს. უნდა იხვენბოდეს, იფარცხებოდეს, ითოხნებოდეს და სხ. ისე, კი არა როგორც ეს ადგილის პატრონს მოეხერხება, არამედ ისე, როგორც ამას თვით აგრონომი დაინახავს საჭიროდ. მხოლოდ მაშინ შეუძლიან მას პასუხი აგოს იმ შედეგზე, რასაც მიიღებს, მხოლოდ მაშინ შეეძლება გადასწყვიტოს, რა აჩვენოს გაშვლელ-გამომვლელს ან სად როგორი რჩევა მისცეს. ეხლა კი ისეთ პირობებში, როგორშიაც ჩვენი აგრონომის მუშაობა სწარმოებს, არცერთი მისი ნამუშავარი სამაგალითო საჩვენებელი არ არის არავისათვის. ჯერ-ჯერობით აშკარად მარტო ისა სჩანს, რომ მანქანით თესვა და დამუშავება ნაკლებ ხარჯს თხოულობს და გარდა ამისა, თუმცა თვალთ ვერ ხედავენ ჯერ ამის დამტკიცებას, მაგრამ ბევრს თავისი საკუთარი მიხედვრითობით სწამს, რომ მწყკრივად თესვას მანქანით, თუ საქმე კარგად იქნება მოწყობილი, გამოსავალიც მეტი ექნება, ვიდრე ხელით მოფანტვით დათესილს. მაგრამ ჩვენ თანამედროვე სამეურნეო ცოდნით აღჭურვილებს არ შეგვეფერის ვიკმაროთ მარტო მით, რომ რაოდენიმე ნაწილი ხალხისათვისი საკუთარი უნარით მიგვიხვდება იმ საწადელს, რომელიც გვსურს თვალთ დავანახვოთ მას და კი ვერ მოგვიხერხებია.

ამიტომ, რომ შემდეგში მაინც მოისპოს ჩვენს მოქმედებაში ასეთი უსი-

სტემობა, საჭიროა: დაევალოს აგრონომს მოაწყოს მან მუშაობა ისეთ ადგილას, სადაც ყოველ სამუშაოს თავიდან ბოლომდე ისე აუსრულებენ, როგორც ეტყვის, და ამგვარად სრული პასუხის მგებელი გახდება იმ შედეგისა, რაც ამ მუშაობით მიიღება. ამისათვის ადგილი უნდა ამორჩეული იყოს იქ, სადაც გეზი და სხვა მოსაზრებანი მოითხოვენ და არა იქ, სადაც რომელიმე მემამულე მოიცემა ამ ალაგს.

კომისიის აზრით წესიერ მუშაობის მოსაწყობათ საკმარისია პირველად არჩეულ იქმნეს სამი ადგილი: ერთი თვით სოფელ გომში, მეორე სოფელ თამარაშენში ან ტონ ფალავანდიშვილის მამულში და მესამეც სოფელ ქარელში საციციანოში, მტკვრის პირად.

თუ სამუშაოს მოსაწყობათ მამულს, რომელსაც ავარჩევთ, არ მოგვეცემენ დროებით უფასოთ, საიჯარო უნდა გავილოთ. წინადავე შედგენილ სამუშაო გეგმის ასასრულებლად უნდა ვიქონიოთ სამივე ალაგას საჭირო ინვენტარი სამეურნეო მანქანა-იარაღებისა. მამულის იჯარისა და ინვენტარის გარდა თითოეული ადგილისათვის ყოველწლიურ ხარჯად იკმარებს 250—350 მანეთი, რაიც სამივე ალაგისათვის შეადგენს დაახლოებით 1000 მანეთს წელიწადში.

სამუშაო გეგმის და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა დაწვრილებით თითოეულ ადგილისათვის შემოხსენებულ ფარგლებში უნდა დაევალოს თვით აგრონომს საბჭოს წინაშე წარმოასაღგენად და დასამტკიცებლად.

რადგან შემოხსენებული ადგილები დაშორებულნი არიან ერთიერთმანეთი-



დან 12—15 ვერსზე და რადგან თითოეულ ამ ადგილზე მოწყობილი მუშაობა თვალმისაწვდენი იქნება გარშემო მცხოვრებლებისთვის 10—15 ვერსის მანძილზე მაინც, ამიტომ აქ მოწყობილ მუშაობის ზედგავლენა კარგა დიდ მანძილზე იმოქმედებს რაიონში. ორისამი წლის შემდეგ, თუ მადამდე ქართლი ისევ ერთი სარაიონო აგრონომის ანაბარა დარჩება, შეიძლება ეს ადგილები გამოიკვალოს, ახლა სხვაგან დაიდოს ბინა და ამნაირად თანდათან გაფართოვდეს ამ მხრივ ჩვენი აგრონომიული მოქმედება რაიონში.

კომისიამ ინახულა გზადა გზა აგრედვე სხვა და სხვა შემამულეთა ხეხილის

ბაღები და სანერგეები, ზოგი მშვენივრად დაყენებული, როგორც მაგალითად ტიტვინიძეს ბაღია სოფელ საქაშეთში. საერთო შთაბეჭდილება კომისიისა ამ მხრივ იმაში მდგომარეობს, რომ მეხილეობას ამ რაიონში გაცილებით მეტი ადგილი უნდა დაეთმოს, ვიდრე ესაა აქვს, ხოლო უწინარეს ყოვლისა უნდა განსაკუთრებით ქართლისათვის დაუყოვნებლივ იქმნეს მოწვეული მებაღე ინსტრუქტორი და შემუშავდეს გეგმა საინსტრუქტორო მოქმედებისა.

კომისიის წევრნი } ვ. რცხილაძე.  
                                  } პ. მელია.

## მოხსენება ქართლის ინსტრუქტორისა

მე მომიხდა კახეთში წასვლა 28 მაისს. აქედგან მოკიდებული დავყავი მკათათვის 7-მდე. ჩემი ასეთი დაგვიანება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: ნამყენი ვაზის სანერგეები, რომლებიც მისვლისთანავე ვინახულე, აღმოჩნდა სუსტად იყვნენ შედუღებულნი. თუმცა ნამყენ ადგილებზედ ფესვები უკვე ჰქონდათ გამოტანილი, მაგრამ მათი ჩამოცლა ადრეულათ ვსცანი, რადგან რაოდენიმე ნაწილი ამ ნამყენებისა შეუჩვეველ ხელს ადვილათ შეეძლო დაგზიანებინა. ამისათვის პირველი სამუშაო მხოლოდ მიწის გაფხვიერებაში, წამლობაში და ამოხეთქილ ამერიკულ ყლორტების ჩამოცლაში გამოიხატა. 10 თიბათვიდგან კი მუკუზნის სანერგეში შესაძლებელი გახდა ფესვების ჩამოცლა. რადგან აქაური მიწა მეტად გამშრალი და გამაგრებული იყო, ამისათვის ხსენებულ სამუშაოს აქ ერთი ორად მეტი დრო მოვანდომე, ვიდრე

იყალთოში. ორივე სანერგეების მოვლა-დამუშავებას 20 თიბათვიდგის მოვრჩი. საძირე ამერიკული ვაზები და კერძოთ ნამყენი ვაზები ორივე სანერგეებში ჩინებულათ არის ნახარები, დაახლოებით 50% მეტი გამოდგება. საზოგადოდ კი უნდა მოგახსენოთ, რომ მუკუზნის სანერგეში უფრო მეტი პროცენტი ნახარები, ვიდრე იყალთოში. ასეთი განსხვავება ჩემის აზრით უნდა მიეწეროს ერთის მხრით მეტ სითბოს და მეორეს მხრით ადრე დამუშავებულ მიწას.

გარდა ხსენებულ სანერგეების მოვლისა, კახეთში წასვლის უმთავრესი მიზანი გახლდათ მუკუზნის მამულში ტყის გაკაფვა. როგორც მოგეხსენებათ მთელი ეს შექმნილი მამული, რომელიც 12-დეს. შეიცავს, ხშირ ატეხილ ტყეს წარმოადგენს. თუმცა შიგა და შიგ მუხებიც იზრდება, მაგრამ მეტი წილი კი საფიჩხე ტყეს უჭირავს. ვი-



დრე კაფვას შეუდგებოდი მოსალოპა-  
 რაკებლათ დავიბარე ადგილობრივი  
 მცხოვრებლები, ვტიკრობდი წილზედ  
 ან ნარდად გადამეცა, მაგრამ ორივეს  
 ვამჯობინე დღიური მუშით დამუშავება  
 და აი რათა: ხსენებულ ადგილზედ  
 როგორც ზევით მოგახსენეთ, საკმაოთ  
 მოიპოვება მოზრდილი მუხის ხეები,  
 რომლებიც მომავალში ჩვენთვის საჭი-  
 რონი შეიქმნებიან. აქედგან ჩვენ  
 შეგვიძლიან მივიღოთ სამაფთულე ბო-  
 ძები; სარები და შეშა. რაც შეეხება  
 საფიჩხე ტყეს, აქედგანაც ბლომათ გა-  
 მოიჩჩევა ჭიგო და ფიჩხი. ეს ორივე  
 მასალა მუდამ ჟამს შეგვიძლიან გავყი-  
 დოთ, რადგან ახლო-მახლო სოფლებში  
 დიდი მოთხოვნილებაა ჭიგო-ფიჩხზედ.  
 ამ მოსახრებით დავიჭირე ექვსი თვიუ-  
 რი მუშა თავიანთ ხარჯით: ორი გამკა-  
 ფავი, თვეში 20 მანეთად და 4 ფიჩხის  
 გამსხევი თვითთელი 12 მანეთად თვე-  
 ში. აქვე მუშაობს ჩვენი უფროსი  
 მუშაც. მუშაობა დავიწყე 25 მკათა-  
 თვიდან. როგორც დაახლოვებით გა-  
 მოვარკვიე თვითთელი მუშა დღეში  
 150—180 კვ. საენს ჰკათავს. რასა-  
 კვირველია ეს რაოდენობა დამოკიდე-  
 ბულია ტყის სიხშირეზედ. ზოგან შეი-  
 ძლება მეტიც გაკეთდეს. ერთი სიტ-  
 ყვით ერთი თვის მუშაობა უფრო ნა-  
 თლად დაგვანახებს, რა უფრო ხელ-  
 საყრელი იქმნება ჩვენთვის, ნარდად,  
 წილზედ თუ დღიურად მუშაობის  
 გადაცემა. როგორც ამ ერთი თვის  
 განმავლობაში გავეცან ადგილობრივ  
 პირობებს, დაახლოვებით შემიძლიან  
 ვსთქვა, რომ წყლის სიკოტავე მუკუ-  
 ხანის რაიონში მეტად საგრძნობელია,  
 თითქმის მეტი წილი ვენახებისა ირ-  
 წყვება, წყალი კი ნაკლებათ არის,  
 რაიცა იწვევს მცხოვრებლებ შორის

დავა—უსიამოვნებას. თანხმად ასეთი  
 პირობებისა მუკუხნის მამულში,  
 რომელიც მხოლოდ 12 დეს. მიწას  
 შეიცავს, სამრეწველო ხეხილის ბაღის  
 გაშენებას მეტათა ვსთვლი, უმჯო-  
 ბესი იქმნება მთელი ეს ადგილი დაუ-  
 თმოთ ამერიკულ საძირე ვაზებს, სა-  
 ნერგეს და სამრეწველო ვენახს. მით  
 უმეტეს რომ ხსენებული ადგილი გან-  
 საკუთრებით სავენახე მიწების თარგშია.  
 რაც შეეხება სამრეწველო ხეხილის  
 ბაღის გაშენებას და აგრედვე ხეხი-  
 ლის სანერგეს, უმჯობესი იქმნება ეს  
 ორივე იყალთოს მამულში მოეწყოს,  
 სადაც მიწა უზვათა გვაქვს. მხოლოდ მო-  
 გვინდება წყლის გაყვანა. წყალი იყალ-  
 თოში ბლომად მოიპოვება, მხოლოდ  
 წყლის გამოსაყვანათ ხარჯი დავკვირ-  
 დება.

თანხმად ბ-ნ ქადაგიძის თხოვნისა  
 ვინახულე ს. ალვანის ხილის ბაღები.  
 როგორც ეტყობა თუშობა გულმოდ-  
 გინეთ ეკიდება ამ ახალ საქმეს. სი-  
 მართლე უნდა მოგახსენოთ, რომ მეხი-  
 ლეობას და აგრედვე მებოსტნეობასაც  
 ამ რაიონში დიდი მომავალი აქვს.  
 იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სულ  
 ახლო მომავალში მეხილეობა თუშები-  
 სათვის ერთი სამრეწველო დარგთავანი  
 შეიქმნება.

ვინახულე აგრედვე თდ-დიმიტრი  
 ერასტისძე ჩოლოყაშვილის მამული  
 ალაზანს გაღმა. მამული მშვენივრად  
 არის დამუშავებული. 4 დესეტინაზე  
 მეტი საძირე ამერიკული ვაზები და ამ-  
 დენივე ხეხილის ბაღი ჩინებულათ არის  
 ნახარები და ზრდაც შესაფერი აქვთ.  
 საძირე ამერიკული ვაზებისათვის ხსე-  
 ნებული მამული როგორც ჰაერის, ისე  
 ზედადგის მხრივ საუკეთესო პირობებს  
 წარმოადგენს.



რაც შეეხება საზოგადოდ მოსავალს, პურის მოსავალი გაღმა მხრისა სჯობნის გამოღმისას. გამოღმით თელავის მაზრასაც არა უჭირსრა, მხოლოდ ქიზიყი დამშეულათ შეიძლება ჩაითლოს. აქაურ მოუსავლობას უმთავრესად აწერენ მინდვრის თავეს, გოლვას და მიწის უღონობას. ეს უკანასკნელი გამოწვეულია მიწის ყოველ წლივ მოხვნით, რაიცა უნდა მიეწეროს ხალხის გამრავლებას და მიწის სიცოტავეს. ვისაც კი შეეხვდი ქიზიყელს, ყველასაგან ერთი და იგივე სამდურავი მოვისმინე, რომ ქ. ს. საზოგადოება ჩვენ ყურადღებას არ გვაქცევსო. საზოგადოდ დიდი სურვილი აქვთ აგრონომიული დახმარებისა. 30—35 ათასი სული მცხოვრები, რომლებიც ერთ ხელის გულიტოლა ადგილზედ მოსახლეობს, აგრონომისათვის სამუშაოთ საუკეთესო პირობებს წარმოადგენენ. არა თუ კახეთში, თითქმის მთელ ჩვენს სამშობლოში ქიზიყი როგორც ხვანა—

თესვის და მესაქონლეობის რაიონი— დიდი ყურადღების ღირსია.

ვენახების მოსავალი დიდია, მხოლოდ წლევანდელმა გოლვამ ცოტა არ იყოს შეაწუხა, მეტადრე ფერდა და ხირხატ ადგილებზედ. განსაკუთრებით უწყლოობა ეტყობა სიღნაღის მაზრის ვენახებს.

სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს ერთი მოვლენათაგანი, სახელდობრ კახეთში ზოგიერთა სამეურნეო მანქანათა გაერცვლება, მაგალითად სალენწი მანქანებისა. ამ ჟამად კახეთში რამოდენიმე კერძო სალენწი მანქანა მუშაობს. შარშან ერთ კერძო პირს კარდენახში ერთი ზაფხულის განმავლობაში აუღია 4000 ფ. ხორბალი, ფუთი ხორბალი გაუყიდნია 1 მ. 20 კ.—1 მ. 40 კ. თვით მანქანაში კი მიუტია 7000 მანეთი. ამნაირად ერთი წლის განმავლობაში მანქანის ღირებულობა აუნაზღაურებია კიდევ.

ინსტრუქტორი გ. ნახუცრიშვილი

## ისევ სოფლისკენ

მეგობარო მარო! რამოდენა ხანია ველი შენს წერილს და არ ვიცი რატომ აქამდის არას იწერები? როგორცა სჩანს, ჩემი წერილი არ მივიღია.

შენი წერილი შემოდგომაზედ კავკავიდან მივიღე. მწერდი: „როგორც იქმნა გამოვძებნე ისეთი სკოლა, როგორც მენატრებოდაო (ეს სკოლა სამეურნეო სამრეწველია) და ახლა აქედანა გწერ.“

ეს სკოლა კავკავიდან შეიღს ვერსზედ არის, სწავლა ორი წლისაა. ასწავლიან ბაღოსნობას, ბოსტნეულობის მოყვანას, ქათმების და პირუტყვების მოვლას,

მერძეობას, ყველის, კარაქის და კონსერვების გაკეთებას, სადილის ხარშვას და ყველა იმას, რაც-კი შეეხება დიასახლისს. ფასი სწავლისა 120 მანათია. ტანსაცმელი ჩვენია. ჩემთან ერთათ წამოვიდა ერთი ქართველი ქალი ნინა კ—ძე. მუშაობას უკვე შევეჩვიეით და კარგადაც ვიტანთ, ოღონდ სადილი ვერ ავიტანეთ და ამისათვის მეტს ფასს ვიხდით ცოტათი უკეთესს სადილში. ჩვენის მეტი ქართველები არავინ არიან. სულ რუსებით არის ეს სკოლა სამსე. ოცდახუთი მოწაფე ვართ. აქ ბუნება მშვენიერია, დღეები ჯერ ისევ თბილი



და კაი ამინდებია. მანდ კი ვინ იცის ახლა სიცივეა და ნისლი-ბურუსში ხართ გახვეული. ვიცი სასიამოვნოთ დაგრჩება, აქ მასწავლებლათ არის ელენე ჯ — ძე. შენ რაღას აკეთებ და ან როგორ ატარებ დროს.“

აი ამის მეტი წერილი შენგან, ჩემო მარო, აღარ მიმიღია. ალბათ ძალზე გაერთვებოდი მუშაობას და იმიტომაც ვეღარ იცლი, რომ მომწერო. მე ზადრე ეხლა გაზაფხულის პირია, მინდორ-ვენახებში მომუშავეს საიდან ეცლება წერილების წერისთვის? მე—კი დღეს ისეთი თავისუფალი დრო მომეცა, რომ ეხლავე გადავწყვიტე შენთან სასაუბრო წერილის მოწერა.

როგორც წინადაც გწერდი, მატერიალურმა მხარემ მეტათ შემაწუხა ამ ცივს ქვეყანაში. ხომ იცი სტიპენდია თხუთმეტი მანეთის მეტი არ მეძლევა ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოებიდან. აქედან ადვილად დარწმუნდები, როგორ უნდა მეცხოვრა; ამიტომაც იყო, რომ ხშირად სხვის ხელსაქმეებს ვიღებდი შეკვეთით და ისე ვაკმაყოფილებდი დღიურს მოთხოვნილებას. მაგრამ, მადლობა ღმერთს, დღეს გავიტანე ჩემი ლელო: ჩავაბარე ყველა საგნები, გამოცდამაც ჩაიარა ისე, რომ ახლა—მოლოცვის ღირსი ვარ, გავათავე ეს სასწავლებელი. ხვალ მოწმოსას მომცემენ, თავს დაუკრამ სამუდამოდ ამ ცივს, ჭაობიანს, ულამაზო ქვეყანას, გამოვწვევ მალე ჩემს სამშობლო ქვეყნისკენ და ვეტყვი: „ცა ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო, სნეული დავბრუნებულვარ მკურნალად შემეყარეო“. მართლაც და რა მხარე შეედრება ჩვენს კოხტა პაწაწინა საქართველოს. დაილოცოს მისი კუთხე. ქვა

რო გადაავდო, ნაყოზს გამოიღებს, ისეთი ნიადაგიანია, მაგრამ მუშა ხელი არა ჰყავს, მუშა. ჩვენდა სამწუხაროდ ისეთი მრავალი მიწებია დაუმუშავებელი და გავერანებული, რომ უცხოელებმა რომა ნახონ, მაგალითათ, ინგლისელებმა, შვეიცარელებმა, საშინლათ გაჰკვირდებიან და მწარე სიცილს გადმოგვაყრიან. მაგრამ რას ვამბობ. არა თუ ასეთი უცხოელები, როგორიც არიან გერმანელები და სხვა? შენ წარმოიდგინე, რუსეთში, მაგალითად ქალაქ ტვერის მაზრაში ისეთი უბედური, უნიადაგო, გამოფიტული და ჭაობიანი სახნავ-სათესი მიწები აქვთ, რომ გავიკვირდება და იტყვი: ნეტავი ამ ადგილებში როგორ მოჰყავთ პური და ან რითი ირჩენენ თავს ამოდენა მცხოვრებნიო. მაგრამ შენ წარმოიდგინე აქაური გლეხები ამით არ შეშინებულან: ამოურჩევიათ ისეთი მცენარები, რომელნიც გვარობენ: ჭვავის პური და სელი (ЛЕНЬ). აი ეს ორი მცენარე ისე მშვენივრად აქვთ დამუშავებული, რომ თვალს ვერ მოაშორებ. მთელი მაზრა ამით სცხოვრობს. საქონელი ძალზედ ცოტა ჰყავთ, შინაურ ფრინველებს სულ ვერ შეხვდები, რადგანაც აქ დიდი ზამთარი იცის. აქაურმა გლეხებმა გადმომცეს, რომ ფრინველები აქაურ სიცივეს ვერ იტანენ და იხოცებიანო. შვენში—კი რა არ მოდის, რომ დამუშაონ და მოიყვანონ. პური, ღვინო, ბოსტნეულობა, აბრეშუმბი, მატყლი, ბამბა, ქინქარი, ბრინჯი, ფუტკარი და სხვა. ერთი სიტყვით, რომ იტყვიან უფლის თვალი შიგ ტრიალებსო, სწორედ დალოცვილს ჩვენს საქართველოზედ შეიძლება ითქვას.



ჩვენ კი ყოველ სამრეწველო-სამეურნეო დარგს ისე ვართ, მეტადრე ქალები, ჩამოქვეითებულები, რომ პირდაპირ სავალალოა, ჩემო მარო, ჩვენთვის. აბა ერთი მითხარი, რას აკეთებენ სოფლებში გლეხის ქალები და ცოლები? მიწის დამუშავება მათ ისე არ იციან, როგორც მე და შენ იაპონური მწიგნობრობა. აიღე თუნდა ხელსაქმე. ერთი-ორს თუ შეხვდები, რომ ქრელი წინდების, ფარდაგ-ხალიჩების ქსოვა შეეძლოს. სხვა ხელსაქმენი მას თვალითაც არ განუცდია. ან კი როგორ უნდა გავამტყუნოთ იგინი, როდესაც ბავშობითვე ვერა ჰღირსებიან ისეთს სასწავლებელს, რომ შეესწავლათ ან ხელსაქმე, ან მრეწველობა და სხვა. აიღე სამზარეულო, ქრაკერვა, ესეც კი ვაინაჩრობით იციან ჩვენმა გლეხის ქალებმა დასამტკიცებლად.

მე ამაზედ შემძლიან უტყუარი საბუთებით მოგიყვანო. შენ იქნება გაჰკვირდე და მითხრა:—როგორ, გლეხის ქალებმა განა ქრაკერვა და საქმლის მოხარშვა, ხილის გახმობა-გაშრობა არ იციანო. დამერწმუნე არ იციან. თუ იციან, ისიც ასე საყველ-პუროთ. ჩემი ბავშობა გავატარე გარეთ-კახეთში და ამიტომ ძალზედ კარგათა ვცნობ იქაურ გლეხის ცხოვრებას და მათ ცოდნას.

მე აქ ავიწერ ერთს პატარა მაგალითს, რომელზედაც ჯერ შენთვის არ მიაბნია, რადგან არა დროს არ მომცემია შემთხვევა შენთვის გადმომეცა. როცა უფროსი ძმა გადამეცვალა, იმ დროს გარდა ჩვენი ზვრისა ერთი სხვის ვაზით სავსე ოთხ დესეტინიანი ზვარიც ჰქონდა ჩემს საწყალს ძმას იჯარით აღებული. ეს ორივე ზვრები ისე ჰქონდა შემუშავებული, უკეთესად აღარ შეიძლებოდა.

გაზაფხულის პირზედ მოგვიკვდა ეს ერთად ერთი ნუგეში ძმა. დავრჩით მწარედ უნუგეშონი, უბატრონონი მონუცი მშობლების ანაბარას მარტო ორნი დანი. იმ დროს ჩვენც ისეთს პირობებში ვიყავით აღზრდილები, რომ შინაური საქმეების გაძლოლისა და საკუთარი ზვრის მოვლის შესახებ აბა რა გვეცოდინებოდა?

ღიახ, ჩვენ ორივე დებს შინაურათა გვზრდიდნენ. დილის რვა საათიდან შუადღის თორმეტს საათამდე ძმა გვასწავლიდა, გვაკითხებდა ქართულ-რუსულს წიგნებს, გვასწავლიდა ანგარიშს, შემდეგ თორმეტი საათისა დედა გვასწავლიდა სხვა და სხვა ხელსაქმეებს, სამზარეულოშიც ვებმარებოდით. საღამომობით, ასე ოთხი საათიდან ექვს საათამდე, ზვარში ვმუშაობდით: ვთხნიდით, ვბარამდით, ნამყენებს ვაკეთებდით სხვა და სხვა კაი ჯიშის ხილისას. როცა ვენახში მოვრჩებოდით მუშაობას, ხელმეორედ შეუდგებოდით ვახშმის და სამოვრის მომზადებას. ვახშამს რო მოვრჩებოდით ჩემი ძმა სახლის შესავალ-გასავლის დავთრებს მოგვკითხავდა დღიური ანგარიშების ჩასაბარებლად. ანგარიშის დავთრები ორნაწილად იყო გაყოფილი: 1) იყო სახლის ხარჯის და ღვინო-არყის შესავალ-გასავლისთვის, რომლებიც მე მქონდა ჩაბარებული და 2)—ქათმებისა და შინაური ფრინველების შესავალ-გასავლისათვის ჰქონდა ჩემს უმცროს დას. როდესაც ამ ანგარიშებსაც მოვრჩებოდით, გავიდოდით ხოლმე ჩვენს პატარა, მაგრამ ძალზე კოხტად მოკირწყლულს, ლურჯად დაგვილ-დაკამკამებულს კალოს პირზედ, გავიტანდით სკამებს, მაგიდას, შემოაუსხდებოდით გარს სამნივენი და





მშობლებთან ერთად ჩავაბამდით სამი ხმით ქართულ სიმღერებს (ჩემი ძმა მეტად კარგად უკრავდა გიტარაზედ, თარზედ, სალამურზედ, რომლებზედაც ჩვენც ვვასწავლიდა). ასე სიამოვნებით ვატარებდით დროს. მოხუცი მშობლები ხომ ჩვენზედ უარესად სტკებოდნენ ჩვენს საზოგადო სიმხიარულეში. სიმღერას როცა მოვრჩებოდით შემდეგ გავგიძღვებოდა ძმა წინ, მოგვცემდა ორთავეს ბერდანის თოფებს, მოვიკრავდით წელზედ პატრონ-ტაშებს, შეიარაღებულები შევიდოდით ზვარში, დავანთებდით აქა-იქ ცეცხლებს, მოვამტვრევდით ნეღლი სიმინდების ტაროებს და დაუწყობდით შეწვას. ღამე რომ გატყდებოდა, დავიწყობდით მართო თოფის წამლით გატენილს პატრონების სროლას და მორიგობით ვდარაჯობდით მოწეულს ყურძენს. ასე მყუდროდ და ამხანაგურად ვატარებდით დროს. მაგრამ დახე ბედს, დავრჩით ობლები, ძმა აღარა გვყვანდა. დედამა დაგვიავადმყოფდნენ ერთად-ერთი ვაჟიშვილის უდროვოდ დაკარგვაზედ და დავრჩით უფრო აუტანელს მდგომარეობაში. ასეთმა სურათმა მე და ჩემს დაზედაც დიდი გავლენა იქონია: გული აღარაფერზედა გვქონდა. ყოველს ფეხის გადადგმაზედ ჩემი ძმის ნამუშავარი გვხვდებოდა, მეტადრე მის გაშენებული კარის ზვარი, რომელშიაც სახლი გვედგა შიგ ზვრის თავში. აივანზედ რომ გამოვიდოდით, ძმისგან დარგული ხეები და მთელი მიდამო მწარედ ობლად გამოიყურებოდნენ. გვწყდებოდა გულს და აღარაფერი მოგვდიოდა თავში.

ამ დროს ბუნება თავისას არ იშლიდა, კვლავ ჰყვოდა მინდორი, მთა და ბარი და მალე კიდევ დაპურდა

მოსავალი. გულაბი მსხალი, ვაშლი ჩვენს ზვარში ქვეშ ეფინებოდა, პატრონი-კი არსაით იყო, რომ შესაფერად გვეგდოდა ყური. ასე გვეღუპებოდა ძმის ამაღლებული ნამუშავარი. მოჯამაგირეც ვეღარ ვიშოვნეთ. ისეთი დრო იდგა, რომ საათში ერთი მანათი გვეძლია, მუშა კაცს ვერ ვიშოვიდით. ზაფხული იყო, ყველას თავისი საქმე ჰქონდა.

რომელი ზვარიც იჯარითა გვქონდა აღებული, ჩვენიდან სამ ვერსზედ იქმნებოდა და იქ ხომ უფრო ვერაფერს ვშველოდით. ნაცნობი გლეხის დედაკაცები მოდიოდნენ ჩვენსა, მოჰქონდათ ამბავი: „ასე და ასე ჰგლეჯენ, ჰკრეფენ, ხილსა გაბარავენ და რატომ არ მიეშველებით იმ დატვირთულს ზვარს!“ ამ დროს დედაჩემს კი ჰყ-სიციხე ჰქონდა და იწვა ლოგინში.

მეტი ღონე აღარ იყო, მეორე საღამოს მე და ჩემმა დამ მოვილაპარაკეთ, რომ თვითონ უნდა შეგვება ცხენი ცხენის ურემში და შევედგომოდით ხილის ზიდვას. ასეც შევასრულეთ. მაგრამ ვერ აგიწერ, ჩემო მარო, რა რიგად გაუკვირდათ ჩვენს სოფლებს, როდესაც დაგვინახეს, რომ ორივე დებმა ტყვიით სამსე პატრონტაშები შემოვირტყით წელზედ, გულზედ აქეთ-იქით გადაჯვარდინებული, ავიღეთ თოფები ხელში, ჩავაწყეთ ურემში გოდრები, საკრეფლები ხილისთვის და გავწიეთ ზვრისაკენ. რომ გეყურებინა, გზებზე, ქუჩებში თუ სახლების სახურავებზედ სოფლის გოგო-ბიჭები იდგნენ და იქიდან გადმოგვიკიოდნენ: ეით! სად მიხვალთ, ბიჭები ხომ არა ხართ ე პატრონტაშები რომ შემოგიკრავთ ე! დახე! დახე! როგორი მოარბენებენ ი პოლოს კას!—ყველა ეს იმიტომ უკვირდათ



იქაურ მცხოვრებთ, რომ პირველი გამოსვლა იყო ჩვენი ასე სამუშაოდ სხვისა მამულში. ეს არაფერი. ჩვენებური გლახებისათვის უფრო საკვირველი გახდა, როდესაც საფქვავე შემოგვევლია და ჩემა დამ ჩაიტანა ურმით წისქვილში ივრის პირზედ დასაფქვათ. ახლაც არ დავიწყებიათ, სულ იმაზედ აქვთ ხოლმე იქაურს ქალებს სალაპარაკოთ და ზოგს სასაცილოთაც კი მიაჩნიათ... ხშირად გამიგონია ჩვენზედ მათი დედებისაგან: „არა გენაცვალეთ, გლახის ქალი და ცოლი ვარ, მაგრამ ჩემს გასათხოვარ ქალს როგორ გავიმეტებ და ე მაგრე სათრეველად როგორ გავხდი, როგორც ეს ორივე დები. თავიანთმა მშობლებმა ლამის არის წყალში გადაყარონ, ისე გლახი კაცებივითა მუშაობენ.“ ახლა მეორე მიუგებდა: „მაშა, ეგა თქო, გენაცვალე ქა, ცალკე როგორ არა სცხვენიათ, მოქალაქის ქალები არიან, მაგათ მამას სულ ჯვარ-მენდლებით გული სამსე აქვს და ე მაგრე განა შეფერიოთ რო“. მაგრამ დაილოცოს მაგალითი. ბევრმა ქალმა მოგებადა. ამოუდგნენ თავიანთ ქმრებს და ძმებს მხარებში და მათთან ერთად ეწეოდნენ პატროსანს შრომის უღელს.

## II

ერთ მშვენიერს დღეს გამოვეთხოვეთ ჩვენს ამღზრდელს გარეთ-კახეთს, ჩვენს საყვარელს ზვარს.

ჩამოვედით ქ. თბილისში. მართალია, თბილისი უფრო სამშობლო აღვილი იყო ჩვენთვის, რადგან იქ დაბადებულები ვიყავით, მაგრამ გარეთ-კახეთი სულ სხვა იყო.

თბილისში ჩვენ დიდხანს მოგვიხდა დარჩენა, რაკი დედაჩვენს ძალზედ

მძიმე ავადმყოფობა დასჩემდა. ამიტომ იძულებულები გავხდით ზამთარს და ზაფხულს დაგვეყო თბილისში, მამ—კი მშვენიერად მორჩა და მაშინვე გაეშურა გარეთ-კახეთში ზვარის ყურის საგდებლად. ერთად ერთი ის ზვარი იყო ჩვენი მრჩენელი და მცხოვრებელი, მაგრამ მუშა ხელი იმდენად მოაკლდა, რომ იგიც აღარაფერს შემოსავალს იძლეოდა. ერთად ერთი მამაჩემი და მუშაოდა. აბა, ერთი კაცის ნამუშაური და ისიც მოხუცი კაცი, იმდენს რას იმუშაებდა, რომ დღიური ხარჯი დაეფარა და ან ჩვენთვის რამე მოეწოდებინა?..

ამიტომ საჭიროდ გახდა ჩვენი სადამე სამსახურში შესვლა. მე ცოტა ხნის შემდეგ ჯეჯილის რედაქციაში ვიშოვნე საქუშაო. ეს რედაქცია ძალზედ ღარიბი იყო. თვეში ათ მანათის მეტს ვერ მძღვედა ჯამაჯირათ, ამიტომ კიდევ რამ საქმე უნდა მეშოვნა, თორემ აბა ეს ათი მანათი რას მეყოფოდა. ისეც მოხდა. ბრმების სკოლაში ვიშოვნე ქართული ენის გაკვეთილები. რედაქციიდან იქაც ვასწრობდი გაკვეთილებზე. ჩემი და კიდე ხელსაქმის მასწავლებლათ შევიდა ქართველ ქალთა ამხაზავობის სკოლაში, სადაც თორმეტ საათამდის ასწავლიდა და დანარჩენ დროს—კი თავის სწავლას ახმარებდა. ბოლოს ჩემმა დამ საფერშლო სკოლა და საბებიო ინსტიტუტი გაათავა და შევიდა სამსახურში.

ჩემ ბედზე დედაც მოგვირჩა. ქართველთა წერა-კითხვის საზოგადოებამ დამინიშნა პატარა სტიპენდია. წავედი რუსეთში, საიდანაც ახლა მალე დავბრუნდები ჩემს სამშობლო ქვეყანაში და გავემგზავრები ისევ სოფლის-



კენ. ჯერ კი ჩვენს პატივსცემულს ქართულ სამეურნეო საზოგადოებას შეუვლი, გადავცემ მათ, რომ დღეს ჩვენ, ქალებსაც, გვწყურია სამეურნეო სამრეწველო საქმეების წარმოება, ჩვენც შეგვიძლიან თქვენთან ერთად მხარში ამოდგომა, სოფლად მუშაობა და ერთად ქაზნის წევა. ოღონდ მალე გავიდეთ სოფლებში, იქ გავაშენოთ სამეურნეო-სამრეწველო სკოლები, შევასწავლოთ სოფლის ქალებს მეურნეობა-მრეწველობა, რომ ცოდნაში მამაკაცებს არ ჩამორჩენ, მათთან ერთად შეეძლოთ ცხოვრების ათასს გვარს უკუღმართობის წინააღმდეგ გამკლავება და გამარჯვებულები მხნეთ გამოათრიალებდნენ პატიოსან შრომის აღამს.

სოფლის ქალი რომ ასეთს პირობებში იზრდებოდეს და შეეჩვიოს ასეთს მუშაობას, მაგალითად: დათესოს ბამბა, ჭინჭარი, კანაფი, სელი, რომლებსგანაც მშვენიერი ძვირფასი ხარისხის ძაფები შეიძლება გაკეთდეს. შემდეგ შეღებავს ამ ძაფს სხვა და სხვა ფერებით, ჩააბამს დახვაში და მოჰქსოვს ათასგვარ ფარჩეულს და სამოსელს. აგრეთვე დაამზადებს საუცხოვო ქსოვილებს მატყლისგან და აბრეშუმეულებსგან. ამასთანავე ეცოდინება შინაური მრეწველობა და სხვა.

ერთი სიტყვით გლეხის ქალმა და ცოლმა, რომ ასეთი ცოდნა შეიძინოს მაშინ როგორ გაუადვილდებოდა ცხოვრება და როგორი კარგი მეგობარი გახდებოდა ქმრისა თუ ძმისა!

სოფლის ქალმა უსათუოდ უნდა ისწავლოს მიწის დამუშავება, მისი მოვლა. ქალი არ უნდა თაკილობდეს მიწის მუშაობას როგორც ეს დღეს ჩვენს სოფლებში უმეტესობას სათაკი-

ლოთ მიაჩნიათ. თუ რომელიმე გამოვა მინდვრათ, დაიწყებს ყანებში მუშაობას, ასეთს მომუშავე ქალს ხშირად დასცინიან, მეტადრე მამაკაცები. თუ ქალს ცოტა შორსაც მოუხდა წასვლა ყანაში და იქიდან სახლში დაბრუნებისას სადმე შემოუღამდა გზაში და დახვდა ამ დროს მამაკაცი, იგი იმ საწყალს პატიოსანს მუშა ქალს უპატიოსნოსაც კი დაუძახებს!.. მე ხშირად გამიგია მათგან: ე რომ პატიოსანი ქალი იყოს, ე შუა ღამისას ექ რეს მორაცრაცებსო და სხვა. მაგრამ რას ვამბობ. სოფლის კაცი რა გასამტყუნებელია, როდესაც ამისთანა შეხედულებს და აზრის მამაკაცებს ჩვენ ქალაქებშიაც ხშირად შეხვდებით. ასს მამაკაცში ერთს თუ შეხვდებით, რომ მაღალის აზრით უყურებდეს ასეთს ქალებს.

ამიტომ ჩვენ, ქალებს, უფრო მეტი სამუშაო მოგველის, ვიდრე მამაკაცებს აწმყო დროში. ჩვენ უნდა გაუმკლავდეთ ასეთს მამაკაცებს, ძველ ძალებს ვძლიოთ და ახალი აღვიდგინოთ. გავიდეთ დროზედ სოფლებში, იქიდან მოვამზადოთ საკეთილდღეო ნიადაგი. დაე სოფლებიდან მივცეთ მაგალითები არა თუ მარტო სოფლის ქალებს და ვაჭებს, არამედ მოქალაქეთაც. დავიწყეთ ჩვენ თითონ ქალებმა მუშაობა, ქალებივე ჩაუდგეთ ცხოვრებას სათავეში, ავლაგმით ყველა ჩვენი დამჩაგვრელნი.

დაილოცოს ჩვენი სულმნათი შოთა რუსთაველი და მისი მცნება. განა სირცხვილი არ არის ჩვენთვის და ჩვენი ახლანდელი XX საუკუნის მამაკაცებისათვის, რომ XII საუკუნეში „დედა-კაცი მამაკაცის სწორი“ იყო და ახლა კი XX საუკუნეში—დედა-კაცი მამაკაცის სათამაშო ტიკინათ გამხდარა!.. სირცხვილია სწორედ ეს ჩვენთვის და





მეტადრე ზოგიერთა იმამაკაცებისთვისაც, რომლებიც იმ აზრისანი არიან, რომ დედაკაცი ქვეყანაზე სათამაშო საგნათ გაჩენილა და მეტი არაფერი.

მამაკაცები ჩვენ რომ სუსტებს გვეძახიან (ფიზიკურათ), ამაშიაც ძალიან

შემცდარნი არიან. ჩვენც რომ ბავშობიდანვე დედას ისეთს ნიადაგზედ ავეზარდენით, რა ნიადაგზედაც იზრდება ვაჟები, ჩვენც ისეთივე ღონე გვექნებოდა, როგორც დღეს მამაკაცსა აქვს.

ანნა გარე-კახელი.

## იონჯა და ესპარცემტი\*)

ბატონებო! დღეს აქ შევეყრილვართ იმიტომ რომ რამე მალამო დავსდოთ ჩვენს გაკირებულს მდგომარეობას.

მიწა გამოიფიტა, ვიწროობაა, საქონელი ვეღარსად მოგვეტრიალებია. არც საკვირველია. ხალხი მატულობს, მიწას კი არა ემატებარა.

ჩვენზე წინ სხვანი ჩავარდნილან ამისთანა სივიწროეში. თუ სადმე კიდევ დარჩენილა ისეთი ხალხი, რომელსაც ფართო გასადევარი აქვს, დღეს-ხვალ ჟამთავითარებით ისინიც ჩაცვივიან ჩვენს მდგომარეობაში, ისინიც იგრძნობენ ჩვენისთანა სივიწროეს. ხოლო ყოველ სატკივარს თავისი მოსარჩენი წამალიც აქვს. საკიროა მხოლოდ მის გამოძებნა და ხმარება.

სხვა ხალხთა მრავალი წლის გამოცდილება გვიჩვენებს რომ მიწის სივიწროვის წინააღმდეგი საშუალება საკვები ბალახების თესვა-მოყვანაა.

რომ თავი არ მოგაწყინოთ, ვიკმარებ ერთ-ორ მაგალითის მოყვანას.

„ამ ოცდა ხუთი წლის წინად—ამბობს რუსეთში ცნობილი აგრონომი ზუბრილინი—ვოლოკალამის მაზრაში ყველა სოფლებს ერთად ჰყვანდათ რქიანი მსხვილფეხა საქონელი და ცხენი 33500 სული. მიწას სამს წელიწადში

ერთხელ ხნავდნენ და ერთდამივე მიწაში პურს ორჯერ სთესავდნენ.

ორ დესეტინა დასვენებულ მიწას სასუქი იმდენი ეძლეოდა, რამდენსაც სამი სული საქონელი მოიცემოდა. ამგვარად არც სასუქი იყო საკმარისი, მიწაც უხეიროდ იხვნებოდა კავით (იმ მაზრაში გუთანი ჯერ არ იცოდნენ) და ყველა ამ მიზეზებისა გამო მოსავალი ერთ დათესილ ფუთზე მხოლოდ ორი ფუთი გამოდიოდა. პურს ზოგნი სვეტისცხოვლობიდანვე ყიდულობდნენ, შობამდე და ყველივრობამდე ხომ ცოტას ვისმეს გასწვდებოდა და შემდეგ კი სასყიდელი უხდებოდა. დაწყობილი 1867 წლიდან 26 წლის განმავლობაში სრული უმოსავლობა იყო ნ-ჯერ; ხალხი წამდაუწყუმ სესხულობდა საერობო თანხიდან ფულს პურის სასყიდლად; სოფლის ბედლები თითქმის სულ მუდამ ცარიელები ეყარნენ. 1871 წლიდან დაწყობილი 15 წლის განმავლობაში ამ მაზრის სოფლებს გაუტანიათ 527 სესხი, რაც 100 ათას მანეთზე მეტ თანხას შეადგენდა.

სულ სხვა პირი დაიჭირა მოსავალმა—განაგრძობს ბ. ზუბრილინი—როცა გლეხები საკვებ ბალახის თესვას შეუდგნენ და თანაც კავის მაგიერ გუთანი შემოიღეს.

შეგროვილი ცნობებიდან სჩანს, რომ 1905 წელს მსხვილფეხა რქიანი სა-

\*) ეს მოხსენება საგარეჯოს თათბირზე წასაკითხად იყო დაწერილი, ხოლო არ წაკითხულა, თუმცა ბევრი რამ აქედან სიტყვიერად ითქვა.



ქონელი და ცხენი ოცდა ცამეტი  
ათასის მაგივრად ორმოცდა თორმეტი  
ათასი ითვლებოდა მაზრაში; მოსავალი  
ერთი ხუთად მოდის. ვისაც მოუსა-  
ვლობამ ხელი ააღებინა მიწაზე, ის ეხ-  
ლა ხელოვნურად დაუბრუნდა მიწას და  
იწყო ხენა-თესვაო“.

ახლა დაუგდოთ ყური იტალიელ  
მღვდელს, რომელიც ქადაგებდა შესა-  
ხებ იმისა, რაც მეურნემ სოლარიმ  
მოახდინა იტალიაში თავისი ახალი  
მეურნეობით.

„დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო,  
დიდება შენდა! სასწაული, რომელიც  
მოევლინა ებრაელებს უდაბნოში და-  
მშეულთა გაძლომით, ჩვენ დროშიაც  
მართლდება. იქ, სადაც აქნობამდე  
დესეტინაზე 57 ფუთზე მეტი ხორბა-  
ლი არ გამოდიოდა პურის მოსავალი,  
ეხლა 200-300 ფუთზე ნაკლები აღარ  
ადის ყოველ წლივ. სადაც ფერდი  
ფერდს უცემდა საქონელს შიმშილისა-  
გან, დღეს ბეწვ დაწმენდილი, ჰენქიანი  
საქონლას მრავალი ნახირი დაიარება  
გამაძლარი, რომ ინახულოთ რემედელოს  
მინდვრები, იქაური პურისა და სიმინ-  
დის მოსავალი, იტყვიან რომ ყველაზე  
ნოყიერი მიწები აქ ყოფილაო, მაგრამ  
შესცდებით: რემედელოს მინდვრები  
ამ ორი-სამის წლის წინად უმოსავლო  
მიწებათ ითვლებოდნენ და მხოლოდ  
ამ ბოლო დროს გაანოყიერეს იქ 130  
დესეტინა, რომელიც ეხლა ოთხჯერ  
მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე წინად  
იძლეოდა“.

რასაკვირველია იკითხავთ, ვინ იყო  
ეს სოლარი და რა მალამო დასდო  
რემედელოს მინდვრებს, რომ მისგან  
შეცვლილი მეურნეობა სასწაულს დაე-  
ღარა.

სოლარი ჯერ იყო აფიცერი ზღვის

გემზე, მერე თავი დაანება სამსახურს  
და გახდა მეურნე.

ახალი მის მეურნეობაში, რომელმაც  
გაკვირვებას მისცა მთელი ხალხი და  
საქვეყნოდ გაუთქვა მას სახელი, იყო  
იონჯის თესვის შემოღება.

ამ 50 წლის წინად იტალიაში სოფ-  
ლის ხალხი უკიდურეს სიღარიბეში  
იყო ჩავარდნილი. ნების სასუქის შოფ-  
ნა არსად იყო, მიწები გამოიფიტა და  
მცირედ მოსავალს იძლეოდნენ. მდგო-  
მარეობა იყო ისეთივე, როგორსაც  
დღეს ჩვენში ვხედავთ, სადაც ხარი  
ხარს აღარა გავს, კამეჩი კამეჩს, ფუ-  
რები ხბორებს დამზავსებთან, სამი  
ჩვენებური ხარი ერთი კულტურული  
ხარის წონა არ გამოდის, რვა-ცხრა  
უღელს ყვერის საქმე ვერ გაუკეთე-  
ბია.

ესეთ საქონელს ან რა მუშაობა შე-  
უძლიან ან რა სასუქის მოცემა. გუ-  
თანმა თანდათან მალლა ამოიწია, მინ-  
დვრები ისეთივე გახრიოკებული, გა-  
მოფიტულია, როგორც ამ 50 წლის  
წინად იტალიაში იყო და ყველა ამის  
შედგად კი ის გამოდის რომ ჩვენში,  
სადაც სამოსავლო პირობები ბუნებ-  
რივად გაცილებით უკეთესია, ვიდრე  
სხვაგან, დესეტანა 30—40 ფუთ მო-  
სავალს ძლივს იძლევა, როდესაც სხვა-  
გან 200 ფუთზე ქვევით არ ჩამოდის.

ჩვენი გლეხი კაცი სჩიჩქნის თავის  
მიწას ძველებურად და ჰგონია, რომ  
იმაზე კარვად იმისი ხელობა ქვეყანაზე  
არავის არ გაეგება. არა ცდილობს ან  
წაკითხვით, ან წაკითხულის გაგონე-  
ბით რამე გაუმჯობესობა შეიტანოს  
თავის მეურნეობაში. ისევე სხვა რამე-  
ზე დაგიგდებს ყურს და თავის საკუ-  
თარ საქმეზე კი არა, რადგან გარეშე  
თავის დაუდევრობისა თუ რამ სხვა

საქ. სსრ კ. მარქსის  
სსს, სსს: ჩესკებ.  
გიგლიოთობა



მიზეზი აქვს, ეს მიზეზი უფრო იმაში მდგომარეობს, რომ თავის საქმეში თავისი თავი მას ბრძენთა ბრძენი ჰგონია და სხვის სწავლებას არა საჭიროებს.

ბატონებო, ნუ გგონიათ რომ ესეთი ყოფა-ცხოვრება ღვთით არის ჩვენთვის დაწესებული და არაფერი წამალი არ შეგვიძლიან დავდოთ ჩვენს თავს. იქ, სადაც ცნობის მოყვარეობა სჭარბობს ჯიუტობას, ხალხი მალე გამოდის გაჭირებიდან. მოდიეთ, ჩვენც დავეწაფნეთ სამეურნეო სწავლა-განათლებას, გავიგოთ როგორ და რით გააუმჯობესა სოლარიმ მიწის დამუშავება. რა არის ნიადაგი, რას უშვრება მას იონჯა, რით არის იონჯა სხვა ბალახებზე უკეთესი, რა სარგებლობას მოგვცემს მისი თესვა ან როგორ უნდა ვთესოთ იგი და მოუაროთ, რომ კარგი მოსავალი მივიღოთ. შევიარაღდეთ ყველა ამ ცოდნით, სანამ უფრო ძაან მოგვეჭირება მუხრუჭი გაჭირებისა, სანამ ხელთა გვაქვს საკუთარი მიწა-წყალი და არ ჩამონგრეულა ჩვენი კერა.

ღრმად მდებარე მიწა, სადაც არც ჰაერი ჩადის, არც მზის სითბო, ვერც წვიმა-თოვლის წყალი ჩაატანს ხოლმე, ნიადაგის ქვეშეთია და არა თვით ნიადაგი. ამ უკანასკნელში ჩვეულებრივ მთელი სიცოცხლეა გაჩაღებული.

გააშრეთ თიხა და შემდეგ ჩადეთ წყალში. თქვენ ნახავთ რომ თიხიდან ჰაერი ამოვა ბუშთებით. რაც უფრო გამშრალია თიხა, იმდენი მეტია ეს ბუშთები. ამოიღეთ თიხა და ხელმეორედ გააშრეთ. წყლის ნადგომში ისევ ჰაერი ჩადგება. ასეა ნიადაგშიაც. რაც უფრო გაფხვიერებულია ნიადაგი, იმდენი მეტ წყალს დაიტევს იგი. აავსეთ

ერთი სტაქანი მსხვილი საფანტით, მეორე—წვრილით. აწონეთ ორივე სტაქნები და წონა დაიხსომეთ. შემდეგ ერთშიაც და მეორეშიაც დაასხით საფანტს წყალი და მერე ისევ წამოღვარეთ—წამოწრიტეთ. აწონეთ ეხლა ეს სტაქნები სველი საფანტით და ნახეთ განსხვავება. წვრილი საფანტი მეტად იქნება დამძიმებული. მაშასადამე წვრილ საფანტს უფრო მეტი წყალი აუკრფევია. ასეა ნიადაგიც. რომელიც უფრო ღრმად იქნება მოხსული და უფრო კარგად იქნება გაფხვიერებული, ის უფრო მეტ წყალს შეინახავს, უკეთუ ზემოთა პირი ნიადაგისა ერთნაირად იყო მოვლილი, ე. ი. ერთნაირად ფხვიერდებოდა, რომ პირი არ დაელო და ჩაგროვილ წყალს გზა არ მისცემოდა მალლა ამოსვლისთვის.

ჰაერისა და წყლის გარდა და აგრედვე იმ სითბოს გარდა, რომელიც ზემოდაშეცა ჩადის ნიადაგში მზის სხივებით და შიგაც წარმოსდგება სხვადასხვა ქიმიური მოვლენებით, ნიადაგში არიან მრავალი ცოცხალი არსებანი-ჭია-მწერნი და სხვადასხვა ბაქტერიები. ერთ გირვანქა ნიადაგის მიწაში ითვლება 200 მილიონზე მეტი მიკრობი. ყველას თავისი საზრდო უნდა, ყველა აქ ჯერ იზრდება, ცოცხლობს, მერე კვდება და იშლება-იხრწნება მიწაში როგორადაც ყველა ეს დედამიწის ზურგზედაც ხდება. მაშასადამე, გამოდის რომ ნიადაგი თავის შედგენილობით ძრიელ რთულს საგანს წარმოადგენს, რომელსაც ყველგან და ყოველთვის ჯეროვანი გამოკვლევა-შესწავლა სდომნებია, რადგან ყოველი მცენარის გაზრდა-განვითარება ნიადაგში ყველა ამ შემადგენელ მხარეებთან არის მჭიდროდ დაკავშირებული.



ნიადაგის გასაშინჯად ასე იქცევიან: ერთ დესეტინა მინდორზე 5—8 ალაგას ამოსთხრიან ორმოებს სიღრმით 22 ვერშოკს, სიგძით 26 ვერშ., სიგანით 10 ვერშ. და, სანამ ნაპირები ჩაენგრევა ამ ორმოს, აკვირდებიან მის კედლებს. ზოგ ორმოს პირებს ეტყობა შრეები. ზოგან კი არა. სადაც შორეები, გაზომავენ თითოეულ შრეს სისქით და დანიშნავენ, რამდენიც გამოვა. ამასთანავე რასაკვირველია თითოეული შრე უნდა აიწეროს კიდევაც.

თუ რომელიმე შრიდან წყალმა დაიწყო ჟვენა, დააცლიან და როცა წყალი დადგება ერთ დონეზე, ამოზომავენ წყლის ზედაპირიდან მაღლა ნიადაგის ზემოთ პირამდე. თუ ეს სიმაღლე ნახევარ არშინზე მეტი არ არის, ნიადაგი წყალქარბი იქნება და ვიდრე გზა არ მიეცემა წყალს და არ გაშრება, დასამუშავებლად უვარგისი იქნება. სად რამდენ სიღრმეზე უნდა იყოს წყალი, რომ მოსავალს არ დაუშალოს, ეს თვით მცენარეზედაც არის დამოკიდებული, რომელსაც ვრგავთ ან ვთესავთ.

ყოველ მცენარეს სასაზრდოებლად სჭირდება უმთავრესად: აზოტი, ფოსფორი, კალი და კალცი.

**აზოტი**—ჰშველის მცენარეს ტანის გაზრდას;

**ფოსფორი**—ნაყოფის გამოტანას;

**კალი**—აძლევს ნაყოფს გემოსა და ფერს;

**კალცი**—ამსხვილებს ნაყოფს.

ყველა ეს სინოცივრენი სხვა და სხვა ზომით არიან საჭირონი მიხედვით იმისა, თუ რასა ვთესავთ ან რასა ვრგავთ.

მაგალითად, თამბაქოსათვის ნიადაგში უნდა იყოს ან, თუ შიგ არ არის,

უნდა მივცეთ სასუქად თითოეულ დესეტინაზე:

5 ფუთი ჩილის გვარჯილა—აზოტის მიმცემი სასუქი,

10 ფუთი ტომას შლაკი—ფოსფორის მიმცემი,

20 ფუთი გოგირდიანი კალის მარილი—კალის სასუქი,

40 ფუთი კირი წყალ დაუსხმელი—კალცის სასუქი.

ყველაზედ ძვირი ამ სასუქებში ჩილის გვარჯილაა—აზოტის მიმცემი სასუქი. აზოტი კი მეტად საჭიროა მცენარისათვის, ყოველი მისი მწვანე ნაწილის სასაზრდოებლად და მცენარის ტანის ასაყრელად. საზოგადოდ ნიადაგში აზოტი ბლომად არის, მაგრამ უფრო ხშირად იგი გათანგული დევს ვით სათანადო თანხა.

ამ უძრავ თანხას მოძრავად გარდააქცევენ ხოლმე, რომ მცენარემ შესძლოს მითი ისარგებლოს, მიკრობები, რომელნიც იყოფიან სამ ჯგუფად:

პირველი ჯგუფი მიკრობებისა გათანგულ აზოტს გარდააკეთებენ ნიშადურის სპირტათ (1 ნაწ. აზოტი, 3 ნაწ. წყალბადი), მეორე ჯგუფი ამჟავებენ ამ სპირტს ანუ ამონიუმს და გარდააკეთებენ აზოტიან სიმჟავეთ, მესამე ჯგუფი მიკრობებისა უფრო მეტად ამჟავებენ ამ აზოტიან სიმჟავეს და წარმოსდგება აზოტის სიმჟავე, რომელიც მაშინვე ზედმოქმედობს ქიმიურად კალის მარილებზე, რის გამო აზოტის სიმჟავეში წყალბადის ალაგას კალი ჩადგება ხოლმე და წარმოსდგება გვარჯილა, რომელიც საუკეთესო და მასთან ადვილი სახმარებელია მცენარისათვის, მაგრამ ამავე დროს ადვილადაც ირეცხება ნიადაგიდან, რაც მოუხმარებელი გადარჩება



მცენარეს\*). მთელ ამ მოვლენას, რომლის შედეგად გვარჯილის გაკეთება ხდება ნიადაგში, ნიტრიფიკაცია ანუ დაგვარჯილება ჰქვიან სახელად.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილ სასუქებს: აზოტ-ნარევს, კალი-ნარევს, ფოსფორიანს და კირ-ნარევს ხელოვნური სასუქები ეწოდებათ. ბუნებრივი სასუქი არის საქონლის ნეხვი. ამ სასუქს ეტყვიან სრულს, რადგან ყველა ზემოხსენებული საკვებავი ნივთიერებანი არიან საქონლის სასუქში. ძველს ნეხვს ზაფხულის ცხელს დღეში ზემოდა მოთეთრო ნავლი უკეთდება. ეს ნავლი არის გვარჯილა (აზოტი). ნეხვი როდავწვათ, წარმოსდგება ნაცარი; ეს ნაცარი რო გავხსნათ წყალში, მივიღებთ ნაცარწმუნს და ლექს. ნაცარწმუნი არის კალი, ლექი კიდე ფოსფორი და კირი.

შემდეგ იმისა, რაც ზემოთ მოგახსენეთ, ადვილად მიხვდებით იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც აქვთ ყველა ცერცვ-მაგვარ მცენარეებს და ნამეტნავად იონჯასა და ესპარცეტა ბალახს, როდესაც გეტყვით რომ ეს მცენარენი აზოტის ჩამგროვებელნი არიან ნიადაგში. მის მაგიერ რომ ესო-

დენ ძვირფასი საზრდო მცენარეებისა—აზოტი ამოეღო იონჯას ნიადაგიდან, პირიქით იგი ჰმატებს ნიადაგს ამ ნოყიერ ნივთიერებას. ყველა ცერცვ-მაგვარ მცენარეებს ფესვებზე აყრიათ ლუღუღოები ანუ სიმსივნე, რომელშიაც სცხოვრობენ ნიტრიფიკაციის გამომწვევი ბაქტერიები.

იონჯის სიძვირფასე მარტო იმით არა თავდება, რომ იგი ჰკვებაეს დამშეულს ნიადაგს. იონჯა მშვენიერი ნოყიერი საზრდოა ცხოველებისათვისაც. ერთი ფუთი იონჯის თივა თავისი სინოყიერით ფუთნახევარ თივას უდრის ჩვეულებრივ ბალახისას. გარდა ამისა საკვებავიც არის და საკვებავიც. ზოგი საკვებავით მხოლოდ თავს ირჩენს ცხოველი, არც ლეში, არც ძალ-ლონე მას არ ემატება, ზოგი საკვებავი კი ძალ-ლონეს ჰმატებს ცხოველს, ზოგი მეტ სითბოს აძლევს მის სხეულს, ზოგი რძეს უმატებს, ზოგიც ლეშსა და სიმსუქნეს. ხოლო ეს ნათქვამი ისე კი არ უნდა გაიგოთ, ვითომ საკვებავთა შორის ყველა ეს თვისებანი განაწილებული იყოს გაცალკევებით, რომ ერთი საკვებავი მხოლოდ ერთი რომელიმე საჭიროებისათვის წარმოადგენდეს საზრდოს, მეორე—მეორისათვის და სხ. ყოველი საკვებით ყველა მოთხოვნილებას იკმაყოფილებს ცხოველი მხოლოდ სხვადასხვა ზომით: ცხოველი რომ მარტო ბზეთი ვკვებოთ, მაგალითად, მარტო თავს დაირჩენს; კარგი თივა, ქერი, შვრია, ქატო, კარხალი, კართოფილი, სიმინდი აძლევენ ცხოველს ძალ-ლონეს, ჰმატებენ რძეს, ასუქებენ. სიმსუქნე და ხორცი ემატება ცხოველის სხეულს ხორბლეულ საქმლის მიცემით, უფრო კი მაშინ როდესაც ვაძლევთ ქატოს, კოპტონს,

\*) ამიტომ არის რომ შესასვენებლად დატოვებულ მიწას, სადაც ნესტი ბლამად არის, რო მოხნავენ, ისე კი არა სტოვებენ, არამედ მოათესენ ხოლმე ზედ რამე მცენარეს.

მოხენიო გაუხვიერებულ ნიადაგიდან, საიდანაც ბალახი ძირიანად ამოვარდა, თავისუფალი გვარჯილა სულ მთლად გამოირეცხება წყლით, რაკი ამ გვარჯილის დამჭერი ბალახის ფესვები აღა იქნებიან ნიადაგში. მოთესილი მცენარე შეიხმარს ამ გვარჯილას და წყალი ვეღარ გამოირეცხავს. გამოგვალულ-გაფხვიერებულს ნიადაგში კი გვარჯილა, ღრმადაც რომ იყოს ჩასული, ზემოთ ამოდის და ხმარდება მცენარის ფესვებს.



სელისა და მზეუქვრიტეს თესლს, ცერცვ-მაგვარ მცენარეთა ნაყოფს დაფქულს და აგრედვე იონჯის, ესპარცეტის და სამყურა ბალახისაგან წესიერად დამზადებულს თივას. ამგვარად მეწველი, მუშა და საკლავი საქონლისათვის საუკეთესო საკვებას იონჯა შეადგენს. იონჯა რომ ბზე-ნამჯას გადუროთ ცოტა, მაშინაც კარგ საკვებას მივიღებთ საქონლისათვის. ჭარხალს, კართოფილს და სხვა ამგვარ საკვებავთაც მეტი სინოყივრე ეძლევათ, იონჯა რომ გადუროთ. ცხენი, მაგალითად, სრულებით ას საჭიროებს არც შვრიას და არც ქერს, იონჯის თივაზედ რომ იღვეს.

უძვირფასესი და მასთან ძნელი საშოვარი საკვებავი ნივთიერება, რომელიც სჭირდება ცხოველს გამოსაკვებად და ნიადაგს გასანოყიერებლად, არის აზოტი.

იონჯის თივის სინოყივრე ცხადად სჩანს მის შემადგენელ ნივთიერებათა გაშინჯვით და სხვა მცენარეებთან შედარებით აზოტის რაოდენობის მხრივ.

რამდენი ფუთი თესლიდან რამდენი ფუთი ნამჯა ანუ თივა ადის დესეტინაზე და რომელი ნივთიერება რამდენია ამ ნამჯა-თივაში, სჩანს შემდეგი ცხრილიდან:

ე რ თ დ ე ს ე ტ ი ნ ა ზ ე

ე თ ე ს ა.	თესლი.	ავიდა ნამჯა-თივა.	რამელსაც ვრია:			
			აზოტი.	ფოს. სიმე.	კალი.	კირი.
შემოდგომის პური	70 ფუთი	120 ფუთი	3,33 <sup>0</sup> / <sub>0</sub>	1,27 <sup>0</sup> / <sub>0</sub>	1,73 <sup>0</sup> / <sub>0</sub>	0,60 <sup>0</sup> / <sub>0</sub>
ანეულის პური...	50 „	100 „	2,25 „	0,90 „	1,62 „	2,37 „
სიმინდი.....	100 „	100 „	2,01 „	1,00 „	2,00 „	0,55 „
საკვები ჭარხალი.	1000 „	250 „	6,00 „	2.25 „	13,50 „	1,62 „
იონჯა.....	2 ფ. { 7—8 (წელიწადში 1-ელ)	100 ფ. თივა	9,00 „	2,27 „	5,90 „	9,09 „

იონჯის მოსავალს, როგორც სჩანს გაცილებით მეტი აზოტი აპყობია, ვიდრე სხვა მცენარეებს, ანუ სხვანაირად რომ ვსთქვათ, იონჯის თივაში აზოტი გაცილებით მეტი ყოფილა,

ვიდრე სხვა მცენარეებიდან მიღებულ საკვებაში.

რამდენად ნოყიერდება ნიადაგი იონჯით, რომელშიაც იგი ეთესა, სჩანს შემდეგი ცხრილიდან:

თითოეულ დესეტინა მიწაში გათიბვის შემდეგ რჩება:

სადაც ეთესა	ორგ. ნივთ.	აზოტი.	ფოს. სიმე.	კალი.
შემოდგომის პური.....	8,67 ფ.	1,3 ფ.	0,7 ფ.	1.1 ფ.
ანეულის პური.....	50,00 „	1,5 „	0,8 „	0,9 „
ლობიო.....	80,00 „	3,3 „	0,8 „	0,6 „
იონჯა.....	240,90 „	41,4 „	1,5 „	5,0 „



აქედან აშკარაა რომ იონჯა გაცილებით მეტად ამდიდრებს ნიადაგს აზოტით, ვიდრე სხვა რომელიმე მცენარე.

ამ მრავალ ღირსებასთან იონჯამ მოსავალიც უხვი იცის. სარწყავ მიწაზე ითიბება მეორე წლიდან მოყოლებული ვიდრე 6—7 წლამდე 5—7—8 ჯერ და იძლევა საერთოდ დესეტინაზე 700—1000 ფუთ თივას წელიწადში. ურწყავ ადგილზე პირველი წლის შემდეგ ითიბება 3—4 ჯერ და იძლევა წელიწადში საერთოდ 400—600 ფუთ თივას. ერთი დესეტინა იონჯა უდრის 30—45 დესეტინა უბრალო ყორულის თივას.

იონჯისა და ესპარცეტის ფესვები ძაან ღრმად მიდიან მიწაში და იქ ნაშოვნი სინოცივრე ამოაქვთ მალა, სადაც მეტი წილი ფესვია გაბანდული. ეს ფესვები ღებებან ნიადაგში და აფუებენ-აფხვიერებენ ნიადაგს.

იონჯა და ესპარცეტი თხოულობენ ისეთ ნიადაგს, სადაც წვიმისა და თოვლის წყალს ღრმად შეუძლიან ჩავიდეს.

ნიადაგი უნდა იყოს კირ-ნარევი თიხნარ-ქვიშნარი. ქვეშითი პირი ნიადაგისა წყალს არ უნდა აგუბებდეს, ე. ი. არ უნდა იყოს პიტალო თიხა. რაც ღრმად იქნება მიწა მოხნული იონჯასათვის, იმდენი სჯობია, ხოლო უნდა მოიხნას არა ნაკლებ 5—6 ვერშოკის სიღრმეზე მაინც.

მიწა უნდა მოიხნას შემოდგომითვე, რომ ნახნავი გაჟიდდეს შემოდგომისა და ზამთრის წვიმა-თოვლის წყლით. შემდეგ, თოვლს რომ აიღებს, უნდა გადინხნას ხელმეორედ და დაითესოს, როგორც ფეტვი, ე. ი. თესლი უნდა ხელით ან მანქანით მოეფინოს კარგად

მოსწორებულს ფარცხით ნახნავს და შემდეგ ოდნავ წაეყაროს ზემოდან მიწა ფარცხითვე. თესლი იონჯისა წვრილია, ღრმად რომ დაითესოს, ღვივივერ ამოატანს მალა და ჩაღებება. დათესვის შემდეგ, 4—5 დღე რომ გავა, იონჯა ამობიბინდება. თუ შამბი-ბალახი მოერია, როცა ეს ბალახები წამოიზრდებიან იმდენად რომ ცელი მოჰკიდეს პირს, უნდა გავთიბოთ და ნათიბი შიგვე დავტოვოთ. ამის შემდეგ იონჯა ამოუსწრობს სხვა ბალახებს და აღარ აბოგინებს მათ.

იონჯა იძლევა სრულს მოსავალს საუკეთესო ნიადაგში მესამე-მეოთხე წელიწადს, დაბალი ხარისხის ნიადაგში კი მეხუთე-მეექვსე წელს.

ერთხელ მოთესილი იონჯით მიწა 6—7 წლის შემდეგ ახლა სხვა მცენარით უნდა დაითესოს. ყველას სჯობს პური ან ქერი, მით უმეტეს რომ მოსავალს მშვენიერს მიიღებთ ამ ხორბლეულებისას. შემდეგ დაითესება ფეტვი ან სიმინდი, მერე დიკა.

თესლი იონჯისა უნდა იყოს სუფთა, სხვა ბალახების თესლი არ ერიოს. ნამეტნავად უფროთხილდით ერთგვარ მცენარის (ПОВИЛКА) თესლს, რომელიც გარშემო ეხვევა იონჯის ღეროს და სწუწნის მის წვეს იქამდე რომ იონჯა ვეღარ უძლებს და კვდება შიმშილისაგან. ამგვარი თესლი ბლომად ურევია ამერიკულ იონჯის თესლს და ხანდისხან თურქისტანის იონჯის თესლსაც ხოლმე. პოვილიკა მცენარის თესლი უფრო წვრილია, ვიდრე იონჯისა, ყაყაჩოს თესლის ტოლაა; ხან მარტო ერთი, ხან კი ორივე გვერდი ჩაზნექილ-ჩაორმოებული აქვს ამ მავნებელ თესლს ისე რომ ადვილად იცნობთ მას, თუ ურევია, მიკროს-



ვედით აქ, რომ ჯერ თქვენგან მოვის-  
მინოთ თქვენი სამეურნეო გაქირებანი,  
გავიგონოთ ის საშუალებანი, რომელ-  
ნიც თქვენის აზრითა და გამოცდილე-  
ბით მალამოდ გამოადგება ამ გაქირე-  
ბას, შემდეგ თქვენთანვე ერთად აქ  
ვიბჭოთ-ვიბაასოთ შესახებ იმისა, თუ  
რომელი ზომა რამდენად გამოსადეგი  
იქნება, მერე ყველა თქმული თქვენ-  
გან აღვნიშნოთ, როგორადაც მასალა,  
წავილოთ თან, შევაფასოთ და საფუძე-  
ლად დაუდოთ იმ სამოქმედო გეგმის  
შემუშავებას, რომელიც წარმატებას  
მისცემს აქაურ მეურნეობას თუ ესლა-  
ვე არა ამ ახლო მომავალში მაინც.  
აქამდე რაც ხანი აქა ვართ, ჩვენა ვლა-  
პარაკობდით, ახლა თქვენი ჯერია.  
ბრძანეთ ვინც რასა ჰფიქრობთ და ჩვენ  
ყურს დაგიგედით.

წეს-რიგის დასაცველად ვილაპარა-  
კოთ ჯერ-ჯერით; ვინც პირველი ით-  
ხოვს სიტყვას, ჯერ იმან გამოსთქვას  
თავისი აზრი, შემდეგ—სხვამ. მე ვი-  
კისრებ თავმჯდომარეობას კი არა,  
თავმდგომარეობას, რადგან აქ ჩამო-  
საჯდომი არ არის და ყველანი ფეხ-  
ზედა ვდგევართ“.

სიტყვას თხოულობს

**გ. ნახუცრიშვილი.** — ბატონებო!  
სულ ორი წელიწადი არც კია ჯერ, რაც  
ქართულმა სამეურნეო საზოგადოებამ  
დაიწყო მოქმედება. ამ მოქმედებას  
დღეს უკვე ხედავენ ნათლად როგორც  
სამართველო ისე საზოგადო დაწესე-  
ბულებანი და კერძო პირნიც და თა-  
ნაუგრძნობენ მას. რომ მოქმედება  
იგი მართლა სასარგებლოა ხალხისათ-  
ვის, ამის დასამტკიცებლად შორს არ  
წავალ. თვით ამ თათბირის განხორ-  
ციელება, რომელზედაც ჩვენ შევეკრე-

ბილვართ, ის გულწრფელი განზრახვა  
ქართული სამეურნეო საზოგადოებისა,  
რომელიც გვპირდება დახმარებას და  
ამ დახმარების გამოსაძებნად პირველმა  
შემოსდგა ფეხი სოფელში, გამოვიდა  
ხალხში, რათა ადგილობრივ გაიცნოს  
ამ ხალხის მდგომარეობა, საკუთარის  
თვალითა და ყურით ნახოს და გაიგო-  
ნოს სოფლის დუხჭირი,—განა, ვამ-  
ბობ, ყველა ეს, ესეთი გზა არაჩვეუ-  
ლებრივი, სხვათაგონ ჯერ უვალი,  
არ ამტკიცებს ქართულ სამეურნეო  
საზოგადოების სასარგებლო მოქმედე-  
ბას.

ორის წლის განმავლობაში ამ სა-  
ზოგადოებამ ქართლს დაუარსა აგრო-  
ნომიული სადგური, მიიწვია რაიონის  
აგრონომი, მებაღეობის ინსტრუქტო-  
რი, ხეხილის გამსხვლელი, დახარჯა  
აუარებელი ფული; კახეთსაც მისცა  
ასეთივე აგრონომიული სადგური, სი-  
რაიონო აგრონომი, იყიდა ორ ალა-  
გას კახეთში 32 დესეტინა სავენახე  
მიწა, გამართა სანერგეები ამერიკული  
დედა ვაზებისა და ნამყენებისა, აპი-  
რებს საცდელი ვენახების გაშენებას  
და ყველა სხვა სამეურნეო სამუშაოე-  
ბის გეგმის შემუშავებას და ამ გეგმით  
მოქმედების გაძლიერებას.

ეს ჩვენი ივრის ხეობა კი ასეთ კულ-  
ტურულ მზრუნველობის გარეშეა დღე-  
მდე დარჩენილი, თითქო გარე-კახეთი  
იგივე საქართველოს კუთხე არ იყოს,  
თითქო აქაურობას არ ექირვებოდეს  
ისეთივე დახმარება, როგორც ქართლსა  
და კახეთს. ჩემის ფიქრით ივრის ხეო-  
ბას ჯერ არაფრით არ დაუმსახურებია  
ასეთი უყურადღებობა. მიუხედავად იმი-  
სა რომ აქაური ბუნება ხელისშემწყო-  
ბია თითქმის ყველანაირის სამეურნეო  
დარგის განვითარებისათვის და ამას-



თანავე ასე ახლო ვართ ტფილისის დიდ ბაზართან, არც ერთი სამეურნეო დარგი დღემდე არ არის აქ იმდენად განვითარებული, რომ საგრძნობელს რაიმე შემოსავალს იძლეოდეს. ესეთი მდგომარეობა გვაიძულებს ვსთხოვოთ ქართულ სამეურნეო საზოგადოებას დაგვინიშნოს ეხლავე ერთი ინსტრუქტორი მაინც და ერთგან მაინც დაგვიარსოს საცდელი მიწა და თითო სანერგე სანამყენე ვაზებისა და ხეხილებისა.

**გ. გულისაშვილი.**—ივრის ხეობა თავისი მიწების სიკეთით და ნამეტნავად სიუხვით არც ერთ საქართველო კუთხეს არ ჩამოუვარდება, მაგრამ დღეს თუ არა ჩანს, ეს იმისთვის, რომ არც ერთი დარგი მეურნეობისა არ არის დაწინაურებული სხვათა შორის, როგორც მაგალითად მევენახეობა კახეთში, მეხილეობა ქართლში და სხვა. ივრის ხეობის მცხოვრებნი ერთნაირად მისდევენ მევენახეობას, ხენა-თესვას, საქონლის მოშენებას, მებოსტნეობას და მეხილეობას. დღეს კარზედ მოგვდგომია კახეთის რკინის გზა და ცხოვრება გვიკარნახებს გავადვიძოთ და წარმატებაში შევიყვანოთ ანუ ყველა ეს დარგები მეურნეობისა, ან ერთ-ერთს უპირატესობა მივცეთ ახალი გარემოების მიხედვით. ზურგზედ გვაკრავს თბილისის დიდი ბაზარი და ჩვენც შესაფერისად უნდა მოვიხმაროთ ჩვენი დიდძალი სარწყავი თუ ურწყავი მიწები. ამ ახალ გარემოებაში კითხვა იბადება: რომელს დარგს მეურნეობისას მივცეთ უპირატესობა, რომ სხვაზე მეტი ყურადღება მივაქციოთ და შრომა მოვახმაროთ? ამ გარემოებაში შემოგვეწრო ჩვენი ნორჩი სამეურნეო საზოგადოება და გვეუბნება:

შეძლებისა და გვარად ცოდნით ჩვენ დაგეხმარებით, მოგიმარჯვებთ ტენიკურ ხელშეწყობას, მხოლოდ თქვენ გონების თვალი გააღეთ, შესაფერისი ღონის ძიებანი იხმარეთ და მეურნეობა წინ წავა თქვენ საკეთილ-დღეოთაო. იბადება კითხვა: რა ნაირად უნდა დავხვდეთ ამ სასიამოვნო წინადადებას, რომ ღირსეულად გამოვიყენოთ? მე გთხოვთ მოითხოვოთ საზოგადოებისაგან აგრონომი ან ინსტრუქტორი, ადგილობრივ ამოირჩიოთ რჩეულთაგან კომიტეტები და ასე გავაბათ ძაფები ქართული სამეურნეო საზოგადოებიდგან ყოველ ჩვენებურ მეურნემდის, რომ ყველა ჰიონერს შეეძლოს შეკითხვა მისცეს თავის გაჭირვებაში და შესაფერისი დახმარებაც მიიღოს იმათგან, ვინც დახმარებას გვპირდება. ამ გზით შევკავშირდებით ყველანი, დავეხმარებით ერთმანეთს, რომ ვინც რა საქმეს აკეთებს, მარჯვედ წაიყვანოს და ნაკლები შეცდომები დაუშვას. ასე მოწყობილი საქმე თავდები იქნება უქვევლი წარმატებისა ყოველ მეურნეობის დარგში. ჩვენი მხარე თავის თვისებებით ძალიან ფერადია და რომ ადგილის მიხედვით ყველგან შესაფერისი მეურნეობა მოვაწყოთ, ვერც ერთი მეურნე ვერ გვეტყვის ჯერ ჯერობით, სად რა და როგორ გაკეთდეს. ამისათვის კი საჭიროა საცდელი მიწა და, რომელშია ცუდესი მოგვცემს ყოველი ახალი ნაბიჯი ნაცადის მიხედვით გადავდგათ წინ. ამ გვარი საცდელი მიწაღებები უნდა მოაწყონ საზოგადოებებმა, რომ ინტერესი ჰქონდეთ, თითონვე უნდა დაიმუშაონ და ცხადად დაინახონ ნაწარმოების სიაგარგე. მხოლოდ უკეთუ



სოფლები ამახედ უარს იტყვიან, იმ შემთხვევაში მოაწყონ რჩეულთ, უფრო შეძლებულთ, უფრო ხალისიანთ. ეხლა ჩვენა ვართ დაქსაქსულნი, და თუ ამ გვარად შევეკავშირდებით, ხელთ გვექნება ბევრით მეტი ძალა წარმატებისა, ვინაიდან ერთობაშია ძალა.

**იერემია გულისაშვილი.** — ბატონებო! მე მინდა ორიოდ სიტყვით გაცნოთ წარსული ჩვენი დიდი საგარეჯოსი თავის პატარა მეზობელ სოფლებით გიორგიწმინდა, ნინოწმინდით და მკრთალად მაინც ჩაგახედოთ მის აწმდგომში, რომ მათზედ მომავალში ზრუნვა უფრო გაგვიადვილდეს.

დიდი საგარეჯო დიდი იყო არა მართო მრავალ რიცხოვანი მცხოვრებნით, არამედ თავის თვალგადუწვდენელ მდიდარი სმრწყავ და ურწყავი მინდვრით, რომელიც შიმშილობაში ადვილად გამოჰკვებდა ხოლომე მთელს დამშეულს ქიზიყს.

საგარეჯოს ამშვენებდა ცივგომბორის მთაგრეხილი მრავალ ფეროვანი მშვენიერი ტყეებით და ძვირფასი იალაღებით, რომელიც წარმოადგენდნენ საუკეთესო საზაფხულო საძოვარს.

საგარეჯოს ცხვარი ზამთრობით გარეჯელას აბნელებდა და ზაფხულობით თრიალეთის კალთებს. ძროხა იმდენი იყო რომ მისი ბღავილი აყრუებდა მთელ ივრის ხეობას, ცხენის ჯოვის თქარათქური მტერს ძილს უფრთხოებდა.

დიდ საგარეჯოში დიდი ოჯახის საკუჭნაოში ქარახებივით ეყარნენ ყველის გუდები და ჩამწყრივებული ერბოს ქილები პატრონს გულს უხარებდნენ.

ოჯახის წარმომადგენელ ვაჟკაცს ტანით ახოვანს, მხარბეჭიანს ლოყები მიუგავდა თურაშაულის ვაშლს, მკლავებ-

ბი—ამირანს. სასიამოვნო სანახავი იყო იგი სადღესასწაულოდ მორთული: მშვენიერი აქლემის ყელის ჩოხა თავის კოხტა დოშლულით, ძვირფასი ბუხრის ქუდი, ყაბალახი გვერდზედ გადაგდებული, კოხტა საცვეთებში გამოწყობილი აბრეშუმის ჩახსაკრავები, ზრდილი სიტყვა-პასუხი, დარბაისლური მიხვრამოხვრა—თავისი თავის ღირსების მკოდნეს ღირსეულად ეჭირა ყველასთან თავი.

დღეს? გაპარტახებულს მინდორს გადააბრუნებს და გადმოაბრუნებს ძველებურად, მაგრამ ფიტ—გამოლეული მინდორი თესლსაც კი ვეღარ უბრუნებს.

უვიცობით და სიბნელით მოცული ადამიანი მიჰსევია ტყეს და გაუჩანაგებია და აი ეხლა ხის მასალის მაგივრად ცივ-გომბორის კალთები უხვად უგზავნიან გარეჯელებს ღორღს და ლოდს, რომლებიც შეუბოვრად უნგრევენ სახლ-კარს. ოდესმე ყვავილებით დაფენილი საძოვრები ამაოდ ელიან ციდან ნამს და თიბათვის გასულს უკვე გადამწვარ-გადახრიოკებულნი გამოიყურებიან. აუარებელი საქონელიდან თუ ვისმეს თითო-ოროლა ბუხუკი და შერჩენია, საცოდავად დაბლავის შიმშილისაგან შეწუხებულნი.

აი მიიხედ-მოიხედეთ. ბატონებო, და თქვენ წინ ძველებურ ვაჟკაცის მაგივრად დაინახავთ დაბეჩავებულს სიღარიბისაგან უღროოდ დაბერებულს, გაფხეკილს ფარაჯაში გახვეულს მხოლოდ და მის ლანდს. ყველის გუდების და ერბოს ქილების წარმოდგენაც კი აღარ აქვთ. დღეს თქვენ ეს დიდი საგარეჯო გაგიმასპინძლდებათ ციმბირიდან მოტანილი ერბოთი და თბილისიდან კინტოებისაგან ნასყიდი ყვე-



ლით. ყველა ეს სასაცილოა, რომ სამ-  
წუხარო არ იყოს.

გლეხის ოჯახი გაღატაკდა. მისი  
პიროვნება გათახსირდა. როცა ვინმე  
სცემს (და ვინ არა სცემს მას), ის  
ღირსეულად თავის დაცვის მაგივრად,  
სულელურად იღრიჭება. გზა დაბნეუ-  
ლი იგი საქმემ დაჯაბნა, და თუ მშვე-  
ლელი მალე არ გამოუჩნდა, გაიჭყლი-  
ტება. ან რა საკვირველია. მთელი  
წელაწადი მარტო ეს და ესმის: გამო-  
იტა და გამოიტა!

ბევრი მწარედ იოხუნჯებს ხოლმე:  
„ექვსი თვეა ფული არ მინახამს, რო  
მომცენ ვეღარც კი ვიცნობო“.

ან საიდან უნდა ჰქონდეს გლეხს  
ფული. დღიური მუშაობით ოჯახის  
აუცილებელ საჭიროებას ძლივს უძღვე-  
ბა: საპოვნი, ნავთი, სპიჩკა და სხვა.  
თუ ცოტაოდენი რამ მოსჭარბდა სუ-  
ლადიდან, ჰყიდის სხვა და სხვა გარ-  
დასახადებისათვის. ოჯახის გასაუმჯო-  
ბესებლად მას აღარა რჩება რა.

და აი, ძვირფასო სტუმრებო! გამი-  
გონია ისტორია ჰქმნის პიროვნებასაო  
და შეჰქმნა ისტორიამ ქართული სამე-  
ურნეო საზოგადოება. აუცილებელმა  
საჭიროებამ შვა ეს პიროვნება და ჩვენც  
მოგვიპყრია თვალნი ჩვენნი თქვენსკენ,  
მის წარმომადგენელნო. აი ჩვენი მდი-  
დარი ბუნება და აი თქვენი ცოდნა-  
გამოცდილება. ცოდნა და ბუნება დაუ-  
ახლოვოთ, დაუკავშიროთ ერთმანეთს.  
ღრმად დარწმუნებულნი ვართ, ამ მდი-  
დარ ბუნებაში თქვენი განსწავლული  
ხელმძღვანელობა დაგვიბრუნებს სანა-  
ხევროდ მაინც ჩვენს კეთილ დღეობას.

მაგრამ პირადად ჩემი აზრი ასეთია:  
ჯერ ნუ მოვთხოვთ დაბეჩავებულს  
გლეხს მსხვერპლს. სანერგეში, საც-

დელ მინდორში, თუ რაიმე „ცდაში“,  
ნუ მივალბინებთ მას მისდა უნებურად  
მონაწილეობას. ნუ გაგიკვირდებათ,  
რომ გლეხი კონსერვატორია, კიბოსა-  
ვით სულ უკან უკან იწევს. მას ყოვე-  
ლი გროში დიდის გაჭირვებით აქვს  
მოპოვებული და მისი შელევვა მისთ-  
ვის მხოლოდ რაიმე „ცდისათვის“  
ძრიელ ძნელია. ცდისათვის გავიღოთ  
ხარჯი პირველად იმათ, ვისაც შეგნე-  
ბაც მეტი გვაქვს და ქონებრივი ძალაც.  
არის ჩვენში საკმაო რიცხვი ინტელი-  
გენცია, რომელნიც ცდილობენ რაიმე  
ახალი შეიტანონ თავიანთ მეურნეო-  
ბაში, ფულსაც არ დაიშურებენ, მაგ-  
რამ ცოდნა და გამოცდილება მათაც  
აკლიათ. დაე ქართულმა სამეურნეო  
საზოგადოებამ დაგვინიშნოს მუდმივი  
აგრონომი ან ინსტრუქტორი. ჩვენ მის  
დახმარებით ბევრს რასმეს ახალს შე-  
მოვიღებთ ხელსაყრელს და, დამიჯე-  
რეთ, არ გაივლის სულ მცირე დრო,  
რომ მთელს ხეობას მოედება და ყვე-  
ლა გლეხის ოჯახში გაჩნდება ეს ხელ-  
საყრელი დარგი. აღარც აგიტაციიაა  
საჭირო, აღარც რჩევა. გლეხები თავის-  
თავად შეეცდებიან, შეისწავლიან და  
კიდევ შეიტანენ თავის პატარა მეურ-  
ნეობაში. ამის მაგალითთა ვენახების შე-  
წამვლა. ეხლა ერთს გლეხს ვერაჰნახავთ  
ვერც ლარიბს და ვერც მდიდარს, რომ  
იგი საუკეთესოდ არ სწამლავდეს ვენახს.  
ვერმორელის აპარატი გლეხს ოთახის  
სამკაულად გაუხდია, საუკეთესო კუნ-  
ჭულში ის ჩამოუკიდნია. ვენახის გა-  
შენება? ვისა ნახავ ეხლა, რომ სავე-  
ნახე ადგილს არ აბრუნებდეს ორპი-  
რად და ისე არ აშენებდეს ვაზს.

შემოიტანა ვინმე მაღლიანმა პირმა  
რაიმე რიგიანი ახალი პურის თესლი,



არ გაივლის ერთი წელიწადი, რომ მას უკვე ყველანი სთესავენ. ასეთი იყო თესლი „ადესა“, „პოშოლა“ და სხვა. და თვით ქართლში ვინ გაამრავლა მშენებელი ხეხილის მრავალგვარი ჯიში, თუ არ ერთმა კაცმა: ბ. ისაია ფურცელაძემ. მისი და მხოლოდ მისი წყალობით დღეს მთელი ქართლი საუკეთესო ევროპიელი ჯიშის ხეხილითა ჰყვავის.

დიახ, ჩვენი მეურნე, გლახია იგი თუ ინტელიგენტი, ძრიელ ჩამორჩენილია ცოდნით, მაგრამ სამაგიეროდ ცნობის მოყვარეა, გამჭრიახი ჭკუა-გონებისა, მალე მიხვდება და ეცდება მალე გადაიღოს. მხოლოდ ლიტონ სიტყვას მისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ის ყურს გიგდებს. თუ მოსწონს შენი ნალაპარაკევი, გეთანხმება, უკვირს, ოცდება შენგან მოყვანილი უცხო ქვეყნებიდან მაგალითებით, მაგრამ წახვალ და ისიც წავა. ერთი ბეწოთიც არ ისარგებლებს შენის ნათქვამით. არც კი მოუვა ფიქრად სცადოს რაიმე შენი ნარჩევი. მაგრამ აბა შენ თითონ სცადე, გააკეთე რამე, დაინახოს მან თავისი თვალთ ნაყოფი შენი ცდისა და მაშინ ნახავ, როგორ დაიწყოს ცოდვილი თავისით გაკეთებული მიგვარებული იარაღით ნანახი დარგის შემუშავება.

მაშ ნულარ დავახანებთ, ბატონებო. შეუდგეთ პირდაპირ საქმეს. ივრის ხეობის ბუნებაში ერთნაირად კარგი მოდის ღვინოც, პურიც, ხილიც, ბოსტნეულობაც, კარგია მესაქონლეობისათვისაც და ბაზარიც ესე ახლო აქვს. ერთი სიტყვით ეს ჩვენი რაიონი საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს მეურნეობის განვითარებისათვის.

მაგრამ მე მინდა მივითითოთ, ბატონებო, ერთს ჩვენს ავადმყოფობაზედ, რომელიც დიდად და დიდად აფერხებს ჩვენს მეურნეობას. მე ვამბობ წვრილს და მსხვილ ქურდობაზედ, სხვისა საკუთრების უპატივცემულობაზედ. ძნელია მართლა კაცმა ჩაღვაროს ოფლი, დაუღოს გული იქ, სადაც არ იცის, ხვალ დახვდება და თავის ნაშრომი, თუ არა. წვრილ ქურდობაზედ აღარას ვიტყვი, როგორც არის მაგალითად კიტრის პარვა, პამიდორის, კართოფლის, ყურძნის და სხვა ამისთანა.

ამ საქონლის პარვამ მთლად გაანადგურა ხალხი. ერთი ძროხა რომ გყავდეს სახლში, სამი ძაღლი უნდა შეინახო, რომ ქურდი არ შემოგივიდეს ძროხის მოსაპარავად.

ცხენი დღისითაც კი ბორკილ დადებული უნდა გაუშო საძოვრად, ღამე ხომ ცხრა კლიტულში უნდა დააბა, თუ არ გინდა რომ მეორე დღეს ცარიელი დაგხვდეს საჯინიზე. მერე ვინ არის ეს ქურდი, რომელიც ასე უწყალოდ თავ-ზარსა სცემს სოფელს? ისევ შინაური, შენივე სოფელი. და აბა, ხომ მოგესხენებათ, შინაურ ქურდს რა გაუმაგრდება. თითო სოფელში ყოველთვის მოიპოვება ორი-სამი კაცი ამისთანა მახინჯი, რომელთაც ქურდობა ხელობად გადაუქცევიათ.

ამისთანა ქურდისთვის სულ ადვილია ვისიმე მეზობლის საქონლის სოფელს გარედ გარეკა, სადაც დახელოვნებული თათრები ელოდებიან და უმოწყალოდ სტოვებენ გულხელ დაკრეფილს პატრონს. მერე, რა ზომებს ვხმარობთ ასეთ გამაჩანაგებელ ქურდობის მოსასპობლად? არაფერს.

მე მინდა დავისახელოთ ერთი სუბუქი, მაგრამ დღე-დღეობისთვის ერ-



თად—ერთი საშუალება. ეს გახლავთ გადასახლება ადმინისტრაციის წესით სოფლის განაჩენით. აქ მესმის უკმაყოფილება. გაიძახიან, თუ როგორ შეიძლება მაგისტანა ზომები, პოლიციის მიმართვა რა საკადრისა, ეს ხომ ჩვენი დაქვეითებაა, უკულტურებააო. ბატონებო, უკულტურობა ის კი არ არის, გეტყვით მე, რომ ქურდების წინააღმდეგ უკიდურეს საშუალებას მივმართავთ, უკულტურობა ის არის, რომ მთელს სოფელს ორი—სამი კაცი აწყალებს და სოფელს კი ისინი ვერ მოუშორებია. უკულტურობა ის არის, რომ ქურდს კაცს ჩვენ შორის ბინა აქვს. ბევრმა აქ ისა სთქვა, რომ ყველამ გავიჩინოთ ყოველისფერი, ნურავინ იქნება ნურაფრის დანატრულებული და ქურდობა თავის თავად მოისპობაო. ყურძენი ყველას აქვს, მაგრამ ეგერ თქვენ წინ ყურძნის ქურდები მოიყვანეს დაჭერილები.

მეც ვიცი ზომები უფრო კულტურული, ადამიანური, მაგრამ ამ საშუალებით საუკუნოებია საჭირო, რომ სხვის ქონებას შეგნებულად პატივით მოეპყრას ადამიანი. სინამ კი ჩვენი უწესობისაგან ტყავი გავგძვრება. თუ დღესვე წამალი არ დაგვედო ამ მხრივ, ძნელია ჩვენი წელში გასწორება. უმსხვერპლოდ საქმე არ გაკეთდება. დღე ორიოდ ბოროტი, მავნე სული გამოეხალმოს თავის კერას, დაინახოს ქურდმა, რომ ქურდობისთვის მას მკაცრად სჯიან (ქართველი კაცისთვის თავის კერის გაშორება დიდი სასჯელია) და დამერწმუნეთ, რომ სულ მოკლე დროში მოისპობა ამგვარი ავკაცობა.

გვიშვუამდგომლეთ უმაღლეს ადმინისტრაციასთან, მიიღონ ზომები ქურ-

დობის მოსპობისა, თორემ მეურნეობას ამ შემთხვევაში ჩვენ წინ ვერ წავწევთ. რამოდენიც ხეხილი ჩავყარო, მეორე დღეს ერთი ალაღ დამხვდეს; დღეს რომ კართოფილი დავთესო, დამე თესლი ამოიღონ და მოხარშონ, მე კი, ამათ ვუცადო იმის ამოსვლას, ხუთმეტი თუშანი კამჩში მივცე, ხვალ ხელიდან გამომაცალონ და ხუთმეტ მანეთათ მიჰყიდონ ვიღაც თათარს, ამისთანა პირობებში როგორ გინდათ რომ მეურნეობა გავწიოთ.

**კ. ყანდარელი.**—ბატონებო! უპირველესად ყოველისა საჭიროა განათლება. ხალხი თუ განვითარებული არ არის, არ მიაქცევენ ყურადღებას არავითარ საქმეს ახალი ცხოვრებისას. რაც უმჯობესია ადამიანისთვის მას ყველა გაურბის. რასაც იგონებენ, რასაც მოქმედებენ ეხლანდელი უმცროსები ყველა მათი მშობლების ბრალია, რადგან ისინი გაუნათლებლები არიან. როგორებიც თითონ მშობლები არიან ისეთი ზნე ჩვეულების მიმართულებისანიც არიან მომავლებიც. არ მოისპობა არც ქურდობა, არც ავაზაკობა, არც სხვა და სხვა ზნე-ჩვეულება, სანამ სწავლა-განათლება არ გავრცელდება. არ იკისრებენ შეკრებას, არ მოისურვებენ ამ საბედნიერო საქმეს მხარი დაუჭირონ, რადგან ყველა ესენი მიაჩნიათ ვითომ და თავიანთ დასალუბად. ეს რის ბრალია? იმისი რომ სწავლა-განათლებაზე უკაცრაოდ გახლავართ კერძოდ გარე-კახელები.

საჭიროა, თუ როგორმე შესაძლებელი იქნება, ქართულ საპეუნეო საზოგადოების დახმარებით ან კიდევ დახმარებით ისეთი პირობიდან, რომელსაც შესტკევა ჩვენთვის გული, რომ გაიხსნას





სამეურნეო სასწავლებელი, როგორც არის „წინამძღვრიანთ - კარში“. თუ სხვის მოწყალებას ვერ ველირსებით! ჩვენ სოფელმა მაინც ვიკისროთ და დაეარსოთ სამეურნეო სასწავლებელი ქარ. სამ. საზოგადოების ხელმძღვანელობით. აგრედვე კარგი იქნება თუ ერთს აგრონომს მოგვცემთ, როგორც სხვებმაც ითხოვეს.

**გარეჯელი გლეხი.**— ბატონებო! აქ ვინც არიან ესენი ყველანი დღე-მუდამ სოფლად არიან. აი მე გათენდება თუ დაღამდება მინდორში ვარ, მე თითონ ვხნავ, ვწვალობ და ვიცი რაც გლეხებს გვეჭირვება. ჩვენ გვინდა რომ გვაჩვენოთ კარგი ჩვენთვის გამოსადეგი იარაღები, მოგვიტანოთ აქ რომ შეგვეძლოს ვიჭიროთ ან ვიყიდოთ, ვისაც უჭირს.

**გლეხი ჭიანჭველი:** მართალია, ბატონებო, ჩვენ, გლეხები, მამა-პაპურ ჩვეულებას მივსდევთ და ახალს რასმეს ძნელად ვითვისებთ, მაგრამ არც ისე ძნელად, როგორც ამის შესახებ გვისაყვედურებენ ხოლმე ხშირად. მართალია ახალს რასმეს მოგვიდებთ ხოლმე ხელს მხოლოდ მაშინ, როცა მრავალჯერ დავრწმუნდებით ამ ახალ საქმის უკეთესობაში. მოგიყვანთ მაგალითს. უწინ ჩემს ხსოვნაში ჩვენ, გლეხები, ვხმარობდით უბრალო ხის ფერსოიან ურმის თვლებს, რომლებიც მეტად მალე-მალე ცვდებოდა. ასე გაშინჯეთ რომ თითქმის ყოველ სამს თვეში ერთხელ მაინც უნდებოდა ურემს მთელი თვლების ან რამდენიმე ფერსოს გამოცვლა. ჩვენი გლეხკაცობა ერთთავად ურმის თვლების კეთებაში იყო.

ერთხელ ჩვენს მხარეს მობრძანდა მზრის უფროსი თავადი ერასტი ჩო-

ლოყაშვილი და გვიჩიოა რკინის ურემი შემოგველო. რომ გაათავა დარიგება, გვიბძანა:— თუ ჩემს მეორე მოსვლამდე თქვენ რკინის ურემი არ შემოგილიათ, სასტიკად დაგსჯითო. მიუხედავად ამ რჩევისა და დამუქრებისა, კნიაზი რომ წავიდა, ჩვენ დაცინვით შეეხედეთ მის რჩევას და გავიძახოდით: „რას ამბობ, კაცო, როგორ შეიძლება რკინის სალტე გადქვრას ურმის თვლებს: სადმე ტყეში დაგვიგორდება ურემი და ურემსაც დავამტვრევთ და მეურმეც ქვეშ მოაპყვებო“.

აი ასეთი პასუხი გავეცით თავად ჩოლოყაშვილის რჩევა-დარიგებას. არცერთ გლეხთაგანს არ დაუჯერებია ის მისი რჩევა.

გავიდა ამის შემდეგ რამდენიმე ხანი. რკინის სალტებიანი ურემი გამართა ერთმა თოხლიაურულმა მღვდელმა. ჩვენ, გლეხები, თვალყურს ვადევნებდით ამ მღვდელის საქციელს და როცა დავრწმუნდით მისი გამოცდით, რომ რკინა-გადაკრული ურმის თვლები სახეიროა, მაშინ ჩვენც ვიწყეთ რკინის სალტებიანი ურმის თვლების კეთება და დღეს ისეა გავრცელებული, რომ ძველებური უსალტო ურემი ზღაპრად და ახსოვთ ეხლანდელ ჯელებს.

აი ასე გავრცელდა ეს სასარგებლო საქმე ჩვენში. ეხლაც ასე მოვიქცეთ. ჯერ თქვენ გამოსცადეთ და გვიჩვენეთ, ბატონო, რასაც თქვენ საკეთილო საქმეს ბძანებთ, და როდესაც ჩვენ ვნახამთ და დავრწმუნდებით, რომ ეს საქმე სასარგებლოა ჩვენთვის, მაშინ ჩვენ, გლეხებიც, ამოგიდგებით გვერდში და ჩვენის მხრივაც აღარ დავზოგავთ საჭირო ხარჯს.

**ხაშმელი გლეხი.** აქ ლაპარაკია იმ ხარჯებზე, რომელიც საჭიროა ახალ



რაიმე სასარგებლო საქმისთვის. ბატონებო! ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ რომ ჩვენ, გლეხებს, ჯერ-ჯერობით არავითარი ხარჯის გაწევა არ შეგვიძლიან. დაზღვრულია ჩვენი მკლავებიცა და ჯიბეც. თავისუფალი გვაქვს მხოლოდ თვალები და ყურები. რაც საკეთილოა ჩვენთვის, გაგვაცანით და გვიჩვენეთ და დიდი მადლობლები ვიქნებით.

**ე. ლოლაძე\***) — ხაშმის საზოგადოება და მასთან ახლო მდებარე სოფლები, ესე იგი ივრის ხეობა, გორის, თელავის, სიღნაღისა და სხვა მაზრებთან შედარებით უფრო მოკლებულია სამეურნეო ცოდნა-დარიგებას, რადგანაც ხსენებულ მაზრებში ქართულ საზოგადოებას ჰყავს დანიშნული სამეურნეო ცოდნის გავრცელებისათვის აგრანომები, ინსტრუქტორები და აქ კი არა.

ივრის ხეობაში ხაშმი განთქმულია მევენახობით, რადგანაც ერთათ ერთი ცხოვრების წყაროს შეადგენს ხაშმელებისათვის მევენახე-მეღვინობა: კომერალის აღწერვით ხაშმში ირიცხება 300 კომლი ქართველი გლეხობა, რომელთაც აქვთ 400 დესეტინა ვაზიანი ვენახები. ვენახის დამუშავებას და ღვინის დაყენებას მისდევენ ძველი სისტემით. ჩვენის უცოდინრობით ღვინოს და ხილს ფასებში ვერა ვყიდით. რაც შეეხება ხილს, არა გვაქვს საუკეთესო ჯიშის ნამყენები, რომელიც მეტ ფასებში იყიდება. ამას ზედ ერთვის რიგიანი სარწყავი არხების გაუკეთებლობა და სხვა.

ამისათვის ხაშმის საზოგადოებას ესაქიროება დახმარება და დარიგება ქვემოხსენებულ საგნებში:

1) ახალი სისტემით ვენახების დამუშავება, ღვინის დაყენება, საუკეთესო

\* ხაშმელ მამასახლისის ბ-ნ ლოლაძეს ხელმოწერით იყო წარმოდგენილი ეს დაწერილი თხოვნა.

სო ჯიშის ხილის გამრავლება და ჩვენი ნაწარმოების ხელმისაღწევ ფასებში გაყიდვა ბაზარში.

2) თუმცა ხაშმის საზოგადოებას აქვს გამოყვანილი ორი სარწყავი არხი ვენახებისათვის და მინდვრისათვის, მაგრამ უმთავრესი არხის სათავე არ გვივარგა, რადგანაც ივრიდგან იწყობა სათავე, ზედ ჯვარედინად გადადის ლაფიანი ხევის წყალი და სათავესა და რუვს ხშირათ აფუჭებს, რომელსაც ყოველ წელიწადს გასაწმენდად დიდი შრომა სჭირდება. ეს სათავე უნდა გაკეთდეს ას საქნამდინ დულაბით, მიღებით ანუ რაიმე სხვა საშუალებით.

3) სასმელი წყლით ვსარგებლობთ ივრიდგან, რომელიც ქაობიან ადგილებზედ მოდის და ხალხს აზარალებს, რის გამოც ჩნდება ზაფხულობით ციებ-ცხელება. სუფთა წყაროს წყლის გამოყვანას აპირობს ხაშმი ექვსი ვერსის მანძილზედ, მაგრამ სიძვირის გამო საქმე შეჩერებულია. მთავრობა დაგვიბრდა წყაროს გამოყვანას, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ მიგვიღია.

4) ხაშმის საზოგადოებასა აქვს ათი დესეტინა საკუთარი მიწა (ნასყიდი), რომლიდგანაც ოთხი დესეტინა არის გაშენებული ვაზით და ექვსი კი ცარიელია. საზოგადოებას აზრათ აქვს ხსენებული ადგილი რამდენიმე წლით დაუთმოს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას სკოლის და სანერგისათვის, მხოლოდ საჭირო არის პირობების გაგება.

ხაშმში არსებობს წვრილი საკრედიტო ამხანაგობა, რომელმაც ამ წლის თებერვლის 2 რიცხვს საერთო კრებაზედ დაადგინა: ეთხოვოს 5000 მანეთი სესხათ ხუთის წლით სახელმწიფო ბანკს



თანხათ მერძეობის მოსაწყობად. სესხი ნება დართულია, მაგრამ საჭირო არის მცოდნე პირი ხელმძღვანელი და დამრიგებელი.

6) სამინისტრო სკოლას მიემართოს სამეურნეო განყოფილება, რათა გლეხობას უფრო გაგვიადვილდეს მიწის ხელოვნურად დამუშავება.

**მღვ. სვ. რცხილაძე.** ყველამ ვიცით, რომ ქართველები საზოგადოდ და კერძოდ გარეთკახელები განვიცდით დიდ სიღარიბეს, და ეს სიღარიბე გვიშლის ჩვენ ადამიანურად ვიცხოვროთ და ჩვენ შორის გავავრცელოთ განათლება, მივიღოთ საჭირო ცოდნა.

მაგრამ ეს რომ ვიცით, საკმარისი არ არის. ჩვენ უნდა ვიფიქროთ და გამოვიკვლიოთ, რა საშუალებით შეიძლება ჩვენი ამგვარი მდგომარეობიდან გამოსვლა, უკეთესი ცხოვრების მიღწევა. ამისათვის კი საჭიროა გავითვალისწინოთ რამდენამდე მაინც ისტორიული ცხოვრება იმ განათლებულთ ხალხებისა, რომელნიც დიდად გვეჯობიან ჩვენ, როგორც ცოდნით, ისე სიმდიდრით და კეთილის ცხოვრებით. მე ვამბობ ნემენცებზე, ფრანგებზე, ამერიკელებზე და სხვა დასავლეთ ევროპის მცხოვრებლებზე.

ჩვენი ნასწავლები და ჩვენი ქართველი ხალხის გულშემატკივრები, ჩვენი ქვეყნის შვილები გვარწმუნებენ, რომ არც ისე დიდი ხანია, რომ ეს ევროპელები და ამერიკელები ჩვენსავით განვიცდიდნენ სიღარიბეს, დავალიანებას, უცოდინარობას და ისეთსავე დუხჭირში იყვნენ, როგორშიაც ჩვენა ვართ დღეს. მაშ რამ გამოიყვანა ისინი ამ გაჭირვებიდან? ცოდნის შეძენამ და ამხანაგობების დაარსებამ. ამგვარ ამხა-

ნაგობას ჰქვიათ კოოპერაცია. კოოპერაციაში შედის რამდენიმე პირი, რამდენიმე სოფლის მეოჯახე, განუსაღვრელად რიცხვისა, ათი, ოცი, ასი და მეტიც. კოოპერაცია თვის შორის აკროვებს ფულს, რამდენიც საჭიროა, და რომელიც თითო კაცი-საგან შეუძლებელია იშოვოს. ამ ფულით ჰყიდულობს გაუმჯობესებულ სამეურნეო იარაღს, სამეურნეო მანქანანებს და ამათი დახმარებით მცირე ხანში მცირე შრომით ბევრს საქვებს აკეთებს თავის მინდორში, თუ ვენახში, თუ ხეხილის ბაღში და ბოსტანში; აღვილად აკეთებს კარაქსა და ყველს, და სხვა და სხვა სოფლის ნაწარმოებს. საჭიროა ეს დიდი ძალა ამხანაგობისა მეურნეობაში შევიგნოთ და ეს ამხანაგობები დავაარსოთ ჩვენ შორის. ამისათვის კი ბევრი ლაპარაკი უნდა ჩვენს სოფლის ხალხს ჩვენივე ხალხის განათლებული ნაწილისაგან, ჩვენი ინტელიგენციისაგან. ჩვენი ხალხი ახლაც ხშირად იმეორებს ძველებურ აზროვნების ანდაზას: „საზიარო ყანაო, ჩიტმა მომიჭამაო“. საჭიროა ამ გვარი აზროვნების უაზრობა და უსარგებლობა შევიგნოთ და პირ-იქით თანხმობით და ერთობით მუშაობა ვისწავლოთ.

როგორ უნდა ვისწავლოთ, რით უნდა შევიძინოთ საჭირო ცოდნა? ცოდნა შეიძინება კარგი ლაპარაკის მოსმენით და თვალთ დანახვით, რის დანახვაც შეიძლება, როგორც დღეს დავინახეთ გუთნების მოხმარება. ლაპარაკი არ უნდა, სწავლის შეძენისათვის, გონების განვითარებისათვის საჭიროა ჩვენი შვილებისათვის სკოლები. ყველა ჩვენმა შვილებმა უნდა ეს სოფლის სკოლები გაიაროს, საჭიროა





სკოლებიც გავამრავლოთ, რადგან არსებული სკოლები არა გვყოფნიან. მაგრამ ესეც ვიფიქროთ: რომლებიც დღეს სკოლაში სწავლობენ, ისინი როდის უნდა დავაუკაცდნენ, ცხოვრებაში შევიდნენ, რომ იმათ შეიყვარონ გაუმჯობესებული იარაღები და მანქანები? ჩვენთვის კი საჭიროა ეხლავე შევეუდგეთ საქმეს, ჩვენ დიდებმა უნდა ვიწყოთ სწავლის შექმნა და მისი გამოყენება ცხოვრებაში. თუ სასოფლო მეურნეობის ცოდნით განვითარებულნი პირნი იშვიათად მოიცილიან ჩვენთან მოსასვლელად და სალაპარაკოდ, ამათ მრავალი წიგნები აქვთ დაწერილი და დაბეჭდილი. ეს წიგნები უნდა შევიძინოთ, და როცა უფრო თავისუფალი დრო აქვს ჩვენს ხალხს, კვირა-უქმე დღეებში საღამოობით წავუკითხოთ თითო თითო ნაქერი და წაკითხულის შინაარსის შესახებ ვიბაძლოთ და ავწონ-დავწონოთ ყველაფერი. ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგეს ადგილობრივი ინტელიგენცია: მღვდელი, მასწავლებელი და ყოველი ნასწავლი თავადი, აზნაური, სამღვდლოთა შვილები და სხვები. საზოგადოდ განათლებისათვის და კერძოდ მეურნეობის წარმატებისათვის საჭიროა მეტი დაახლოება ინტელიგენციისა ხალხთან. ერთობრივი შრომა გვიხსნის ჩვენ გაჭირებისაგან.

ხოლო უპირველესი დამხმარებელი ჩვენი სოფლის მეურნეობის წარმატებაში ყოველ ქართულ სოფლისათვის არის **ქართული სამეურნეო საზოგადოება**, რომლის წარმომადგენელთა გაგვამდინიერეს ჩვენ დღეს პირადის მოსვლით სხვა და სხვა იარაღებისა და მათი ხმარების ჩვენებით და დაულა-

ლავი, ხანგრძლივი დარიგებით. ჩვენთვის დიდად საჭიროა მჭიდროდ დაუკავშირდეთ ამ სიმპატიურ საზოგადოებას, ჩავეწერნეთ წევრებად, რისთვისაც საჭიროა ყოველწლიური გარდასახადი სამი მანეთი. როცა წევრები გავხდებით, მაშინ უფრო თამამად შეგვიძლიან ყოველთვის მივმართოთ ამ საზოგადოებას სხვა და სხვა კითხვებით, დავავალოთ იარაღების და მანქანების იაფად და კარგის ღირსების სყიდვა. დიდად უნდა გვიხაროდეს, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი საზოგადოება აკავშირებს ერთმანეთთან ყველა კუთხის ქართველებს მეურნეობის ცოდნის წარმატებით.

ბოლოს, არ შემოძლიან არ მივაქციო მსმენელების ყურადღება ერთ გარემოებას ჩვენი ცხოვრებისას. ჩვენი სოფლების ახალგაზრდანი ძალიან ნაკლებად სცემენ პატივს მშრომელ მეურნეთა და მათ საკუთრებას. ისინი არ არჩევენ ხშირად თავისას და სხვისას, სხვისა ხილს, სხვისა ბოსტნეულს, სხვისა ვენახსა და ყანასა ხშირად აზარალებენ, ოღონდ თითონ ისიამოვნონ, ან თავის ხარსა და კამეჩს ასიამოვნონ. წინახედის საჩივარი ჩვენი სოფლის სასამართლოებში აუარებელია. ეს აიხსნება ჩვენი დიდრონებისა და პატარების გაუგებრობით უკულტურობით და ჩვენვე უნდა მოვსპოთ ეს დიდი ნაკლი ჩვენი ხასიათისა, რომელიც სხვათა შორის აუძლურებს, ასუსტებს ჩვენს ენერჯიას მეურნეობისთვის მუშაობაში. ეხლავე დასდოთ მტკიცე პირობა, ჩვენ ყველამ შევიმაგროთ, გავაფრთხილოთ ჩვენი ცოლი, შვილი, დიდი და პატარა, რომ აღარავინ გაბედოს სხვის დაზარალება.





და სამუდამოდ დავკარგოთ ეს ჩვენი სამარცხვინო ჩვეულება, რაც აუცილებლად საჭიროა ჩვენი მეურნეობის წარმატებისათვის.

**ვ. რცხილაძე.** ბატონებო! ეხლა ნება მიბოძეთ თავი თავს მოუყარო და მოგახსენოთ ყველა ის დასკვნანი, რაც აქ მოყვანილ მოსაზრებელან გამოძღინარებენ.

პირველი დასკვნა ის გახლავთ, რომ სასურველია ამ რაიონისათვისაც დაინიშნოს ერთი აგრარია, ან ინსტრუქტორი მაინც, 2) — დაასდეს თითო სახე რეგულაცი და ნაშენი ვაზებისა და კაი ჯიშის ხეხილებისა, 3) — მოეწყოს სასოფლოდ სხვადასხვა სამეურნეო დარგიდან წესაერო საცდელ-სახეხებულე სამუშაოები, 4) — დაასდეს კერძო პირთაგან შემდგარი სხვადასხვა ამხანაგობანი (მეძებებისა, სამეურნეო მანქანა-იარაღების შესაძენად და სხვ.), 5) — გაიმართოს სოფელში ერთი საზოგადო საწყობი მაინც სამეურნეო მანქანა-იარაღებისა, რომ შეიძლებადეს ამ მანქანების სეიდვაც და ქირაობაც, 6) — ეფექტურად სეიდა შეეწყოს სწავლა-განათლების სახსში გავრცელებას საზოგადოდ და კერძოდ მუშა-მეურნეობის გასწავრთვად და გასავარჯიშებლად დაასდეს სახე რეგულაციების გარდა ერთი სამეურნეო სასწავლებელი დაბალი ტიპისა, მაინც რეგორიკის მაგალითად წინსმდვარაინთ კარში. მაშ დღეს ამითი გავათაოთ და ხვალ დილიდან განვავრძოთ ჩვენი თათბირი. ხვალ უფრო ბევრი ხალხი მოიყრის თავს, რადგან კვირა დღეა.

**თავ. ს. ჩერქეზიშვილი.** ბატონო ვასილ ილიასძე! ნება მიბოძეთ მე ჩემის მხრივ და ყველა იმათ მხრივაც, ვინც აქ არიან შეკრებილნი — იმედი მაქვს ესენიც მოემხრობიან ამ ჩემს სიტყვას —

მოგახსენოთ ჩვენი უღრმესი გულითადი მადლობა თქვენ, როგორც ქართულ სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელს, და გთხოვოთ ხშირად მობრძანდეთ ხოლმე ესე როგორც ეხლა და გამართოთ ხოლმე ასეთი თათბირი, რადგან ესეც, რაც უკვე გავიგონეთ და ვნახეთ, დიდად სასარგებლოა ხალხისათვის.

**ვ. რცხილაძე.** გმადლობთ, ბატონებო, ყურადღებისათვის. ვეცდებით შემდეგში ხშირად მოვიდეთ ხოლმე. ხოლო ხვალ დილით ადრე, 8 საათზე შევიკრიბნეთ სასწორთან და განვავრძოთ ჩვენი თათბირი. დილიდანვე გეჩვენებთ რძიდან ნაღების გამოხდა მანქანით, კარაქის გაკეთება და ყველა ის მანქანა-იარაღები, რაც მერძეობაშია ხმარებული.

**1 სექტემბერი**

კვირას ხალხი ბლომად შეიკრიფა დილიდანვე. გარეჯელების გარდა იყვნენ მარტყოფელები, ხაშმელები, პატარძელელები, ნინოწმინდელები, გიორგიწმინდელები, თახლიაურელები და სხ. სულ იქნებოდა ქალი და კაცი 600-ზე მეტი. ხაშმელების წარმომადგენელნი შეფათს საღამოს, როგორც გადმომცეს, შინ წასულიყვნენ. როდესაც თურმე მივიდნენ სოფელში და უამბეს რაც ნახეს და გააგონეს, სოფელში ისევ უკან გამოაბრუნა ეს ამორჩეული კაცები და უთხრა: გაბრუნდით უკანვე საგარეჯოში, აეშურენით, რომ დილით ადრე მიხვიდეთ, დაესწროთ თათბირს, ყველაფერი მოისმინოთ და ამავეი ჩამოგვიტანოთ ყველა იმის შესახებ, რასაც კიდევ ნახავთ და გაიგონებთო.



თათბირის დაწყებამდე საგარეჯოს მამასახლისმა მთხოვა თათბირი ცოტა ადრე გაგვეთავებინა, რადგან სოფლის ყრილობა უნდა მოვახდინოვო ზოგიერთ გადაუდებელ საკითხების გადასაწყვეტად და სასურველია თათბირი გათავდეს, რომ ხალხმა მოიცალოსო.

დილის 9 საათზე შეკრებილთ გამოეცხადათ, რომ ჯერ მათ ეჩვენებათ მერძეობაში ხმარებული მანქანა-იარაღები. მერძეობის ინსტრუქტორმა ა. კახელაძემ შეათბო ორი ქვაბით წინადლით მოტანილი ორ ვედრამდე რძე და ხალხის თვალწინ გაატარა სეპარატორში, რომ ეჩვენებინა ხალხისათვის სეპარატორი როგორა ხდის ნაღებს რძიდგან. ამავე დროს ინსტრუქტორი უხსნიდა ხალხს, რა უპირატესობა აქვს სეპარატორით ნაღების გამოხდას ჩვეულებრივ გამოხდასთან შედარებით. როცა მთელმა რძემ გაიარა სეპარატორში, ინსტრუქტორმა გამოაცხადა, რომ ამ მიღებულ ნაღებიდან ეხლავე კარაქს მოამზადებს და უჩვენებს ხალხს, როგორი სუფთა კარაქი გაკეთდება, ოღონდ ცოტა ხნით მოცდა იქნება საჭირო, სანამ ნაღებს საკმარისად გაციებენ წყაროს წყლითაო.

ვიდრე ნაღები გაცივდებოდა, ჯერ მე, მერე ინსტრუქტორმა აუხსენით ხალხს ლილოს მერძევეთა ამხანაგობის მაგალითით, თუ რამდენად სახეიროა მესაქონლეთა გაამხანაგება და შეერთებულის ძალით რძე-კარაქის მომზადება და გასაღება ისეთ დიდ ბაზარზე, როგორიც არის ქ. ტფილისი. ამ საუბრის დროს აეხსნა ხალხს უპირატესობა ძროხების დანიურის წესით კვებისა, შინაურის შერჩევით საქონლის გაუმჯობესებისა და სხვა-და-სხვა სა-

სარგებლო შედეგები, რომლებიც თავიდანვე მოჰყვება მერძევეთა კოოპერატივის მიზანშეთანხმებულ მოქმედებას.

**3. ჭილაშილი.**—სოფელი მარტყოფი ერთი უძველეს და უდიდეს სოფელთაგანია და თავისი მდებარეობით და გარეგნობით კაი შთაბეჭდილებას ახდენს მგზავრებზე.

ამ სოფელში ითვლება უკანასკნელი აღწერით 1020 კომლი 4843 სულით, რომელთაგან 2133 ქალია და 2707 კაცი. მარტყოფს უჭირავს სულ 16137 დესეტინა მიწა. აქედან სახნავია 8446 დეს. და დანარჩენი 7691 დეს. საძოვარია და სხვა. მარტყოფში არის: 3 მართმადიდებელი და ერთი გრიგორიანების ეკლესია; 1 სამინისტრო ერთ-კლასიანი და 1 სამრევლო სკოლა 122 ვაჟით, 65 ქალით; საფერულო პუნქტი; სამკითხველო; საკრედიტო ამხანაგობა და თეატრი. ყველა ეს დაწესებულებანი სხვა და სხვა მიზეზის გამო თავის დანიშნულების ერთ მეთედესაც ძლივს ასრულებენ. ამ დაწესებულებებით განისაზღვრება ჯერჯერობით კულტუროსნობა, ავკარგიანობა მარტყოფისა. მიუხედავად სკოლაში მოსიარულეთა რიცხვის სიმცირისა, აქ 40 პროცენტზე მეტი წერა-კითხვის მცოდნეა. მეურნეობის მხრივ, როგორც მეტი წილი ჩვენი სოფლებისა. მარტყოფიც არას წარმოადგენს. ახალს. ყოველივე ძველებურია, მამა-პაპური და ამიტომ ამ მხრივ ჩვენ, მარტყოფელები, სამწუხაროდ, გასახარელს ვერას ვიტყვით. პირიქით, ყველაფერში ვსაჭიროებთ გამოცდილ ხალხის დახმარებას, ხელმძღვანელობას. ამ დიდს, მაგრამ მოუწესრიგებელ სოფელში 20—30 კომლის გარდა სულ გლეხობაა.



ინტელიგენცია მცირედია, სუსტია და ისიც უმოქმედო, რის გამოც აიხსნება ის გარემოება, რომ მათ ნდობა არ აქვთ ხალხში დამსახურებული. აქაური სამეურნეო ცოდნას მოკლებული, ხალხი გამრჯელია და მისდევს მეტწილად ხვნა-თესვას, მესაქონლეობას და სხვა ქვემოთ დასახელებულ დარგებს მამა-პაპურის წესით.

1) პირველი და უმთავრესი დარგი, როგორცა ვსთქვით, ხვნა-თესვაა. მუდამ წელს დაახლოებით იხვნება 4300 დესეტინამდე, რომელიც იძლევა ორთა-შუა რიცხვით 60000 კოდ მოსავალს, პურსა და ქერს; სხვას აქ არაფერსა სთესენ. ხნავენ ქართული 8 ულლიანი გუთნით და მეტწილად კიდევ „უტის“ ლურჯის გუთნით. სულ გააქვთ ხოლმე სახნავად 110 გუთნამდე. სახნავი ადგილები მეტწილად ვაკეებია, როგორც, მაგალითად, ქაცნია, უღვეარი, ლალიანი, სამგორი და სხვა. გამოსავალი ამ ხვნა-თესვისა უნდა მოჰპარებულნიც ყოფილიყო, მაგრამ ნამდვილად კი ბევრს, ძალიან ბევრს გაზაფხულამდე ძლივს ჰყოფნით ხოლმე პური არსებობისა.

2) მესაქონლეთა რაოდენობა დიდია, მაგრამ საქონელი დაბალი ხარისხისაა. მუშა საქონელი, ხარ-კამეჩი ითვლება 2200 სული, ცხენი 320 სული, ძროხა 1400 სულზე მეტი და სხვაგვარი წვრილ-ფეხა საქონელი 1000 სულამდე. მუშა საქონელი ჰყავთ ხვნათესვისათვის და ქალაქში შეშისა და ბზის ჩასატანად, ცხენები კი მარტო კევრებისათვის. ძროხებს მხოლოდ სანაშენოდ ინახავენ. მიუხედავად სიმრავლისა საქონელს აქ ფასიც დიდი აქვს.

3) მეცხვარეობა ჩაითვლება ერთ საუკეთესო დარგად 70—80 კომლისათვის, რომელნიც უკიდურესად ავიწროვებენ ხალხს, თავიანთი 16000 სული ცხვარით, რადგან მიჩენილ ადგილებით არ კმაყოფილდებიან. მეცხვარეები მუდამ წელს ჰყიდიან 1000 ფუთზე მეტ მატყლს და ერთ ამდენსავე ყველს, ფუთს 7—8 მანეთად. სამწუხაროდ, მატყლს ჩარჩები ყიდულობენ, რომელთაც წინ-და-წინვე აქვთ ხოლმე დაბევებული.

4) მეფუტკრეობას მისდევენ ძლიერ ნაკლებად, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფუტკარს საპატიო ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობის დარგებში. მარტყოფში ითვლება 425 სკა, ამათგან 100 სკაზე ცოტა მეტი ჩარჩოიანიც, „დადანის“ სისტემისა და დანარჩენი გეგებია. თაფლი და სანთელი, საშუალოდ, ყოველ წელს 2000 მანეთამდე იყიდება.

5) სათიბ-საკვები მინდვრები ცოტაა და ისიც უმეტესობისათვის უსარგებლო, რადგანაც შემოდგომიდან ზაფხულის პირამდე დაბანაკებული ცხვარი დიდ ზიანს აძლევს ბალახს. ამიტომ მეცხვარეები იძულებულნი არიან უთივობის გამო ზამთარ-ზაფხულ მინდორში იყოლიონ საქონელი და აწიწვნიონ ბალახი.

6) მევენახეობა, მებაღეობა და მებოსტნეობა ზომით სულ 215 დესეტ. მაგრამ სანუგეშოს, თვალ-საჩინოს არას წარმოადგენს, ნამეტნავად ფილოქსერის შემდეგ, თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ რამდენიმე ურმით ვაშლის და მსხლის „ქალაქის ბაზარზე“ გასაღებას ნახევარ ფასად. უმთავრესი მიზეზი ამ დარგის დაქვეითებისა არის უწყლო-



ობა. სოფელში თუმცა ბევრი წყაროა და კარგი თვისებისა, მაგრამ უყურადღებობისა და ტყეების გაჩენის გამო ზაფხულობით თითქმის მთლად შრება ხოლმე.

7) მარტყოფის საზოგადოებას თანხად შენახული აქვს 10309 მ. 99 კ. „მალაზიის ფული“ და კიდევ შესატანია 6700 მანეთი, რომელიც გამოტანილი იყო სახნავი მიწის სასყიდლად.

8) ხარჯთ-აღრიცხვა სოფლისა იყო საანგარიშო წელს 5141 მანეთი სასოფლო და 9348 მ. 30 კ. სახელმწიფო, ასე რომ, საშუალოდ, მუდამ წელს მარტყოფი იხდის 1300—5000 მან. მანიფესტის შემდეგ „ნედლიმკებით“ სოფელს გადასახდელი აქვს 25000 მანეთზე ცოტა მეტი.

9) ვაჭრობის მხრივ მარტყოფი ჩამორჩენილია, რადგან პირველ საქორების სანოვავე ძალიან ძვირია და დაბალი ხარისხისა. სულ მარტყოფში ითვლება 35 დუქანი, აქედან 9 ფარჩლეულობისა, 12 ღვინისა (ს. ხაშშიკი არც ერთი), დანარჩენი 14 დუქანი საწვრილმანია.

10) წისკვილები სულ 35-ია. აქედან 8 წისკვილი ჩარხისა (ორი ცხენის ძალისა თითო), და 27 ღარისა. ნახევარი (ცხენის ძალისა თითო).

ზემოდ დასახელებულ კულტურულ დაწესებულებათაგან კაი შთაბეჭდილებას ახდენს საკრედიტო ამხანაგობა. მასში ითვლება 800 წევრი. საწარმოო თანხა უდრის 25000 მანეთს აქედან 19000 მანეთი სახელმწიფოა და დანარჩენი კი მობარებული და საამხანაგო თანხაა. წელს მოსალოდნელია 1000 მ. წმინდა მოგება. . ეს ამხანაგობა უფრო წინ წავიდოდა, რომ დაარსებულიყო ამგვარ ამხანაგობათა კავშირი.

აი, ყოველივე ის, რაც შეიძლება გაკვრით ითქვას მარტყოფის საზოგადო ცხოვრებაზე. ეს ცხრილი გვიკარნახებს ჩვენს უმოქმედობას და იძულებულ გვხდის მარტყოფელები გარეკახეთის მეურნეთა მიერ შემუშავებულ პროგრამით ვიმოქმედოთ.

შემდეგ ხალხის წინაშე წარმოსდგა ქალი ანნა კაპანაძე, რომელმაც გრძნობიერის სიტყვით აუხსნა კრებას, თუ რამდენად ხელსაყრელი და სასარგებლო იქნება სოფლისთვის, რომ სოფლის ქალებმა სძლიონ თავიანთ კარჩაკეტილ მორიდებულ ცხოვრებას და შეუდგნენ საქალო საქმეებს, აი ამ მერძეობას, რომელზედაც ეხლა იყო ბაასი, და ყველაგვარ ქსოვილების კეთებას საცალო-ტომარა-ჯემ-ფარდაგიდან დაწყებული, ვიდრე ნაზ ფარჩეულობამდე, რასაც სოფელში ქალიც და კაციც ჰსაქიროებს. „ბატონებო! აი ეს წმინდა ფარჩის კაბა, რომელიც მე მაცვია ტანზე, ჩემის ხელით არის ჯერ მოქსოვილი და შემდეგ შეკერილი. აბა იფიქრეთ, რამოდენა შესამატი შეგმატება ოჯახს, რომ თქვენმა დედებმა, ცოლებმა, ქალიშვილებმა ისწავლონ ესეთი დართვა-ქსოვა-კერვა, რამოდენა ხარჯი ასცილდება თქვენს ღიმისოდაც გაფხეკილ ჯიბეს. ნუ შეგეშინდებათ, სრულებით ძნელი არ არის ამ საქმის განხორციელება, რაზედაც მე გელაპარაკებით, საქიროა მხოლოდ რომ ამ ჩვენი სოფლების საგარეჯოს, ნინოწმინდის, გიორგიწმინდის მშვენიერ მინდვრებზე სელი, ჭინჭარი, კანაფი დათესოთ ისე, როგორც სხვა მცენარეებსა სთესავთ, და პატარა სახელოსნო გავხსნათ სოფელში, რომელსაც მე ვუხელმძღვანე-



ლებ, რადგან ყველა ამის შესახებ რაც საჭიროა, კარგადა მაქვს შესწავლილი ამ დარგის სასწავლებელში ტვერის გუბერნიაში, სადაც მე მთელი ოთხი წელიწადი დავყავი სწავლაში და სადაც ამ სელოს მეტი სხვა არა მოჰყავთ რა იქაურ მინდვრებზე და მარტო ძახისა და ქსოვილების დამზადებით ხალხი მთელ თავის საოჯახო მოთხოვნილებას იკმაყოფილებს.

**ვ რცხილაძე.** ბატონებო ნება მომეცით მოგახსენოთ ის ორიოდ სიტყვაც, რომელიც თქვენებურმა ინჟინერმა გიგო ქურდიანმა მთხოვა ვადმომეცა თქვენთვის დღევანდელს კრებაზე, რადგან თითონ იძულებული იყო გუშინ დილით სიღნაღში წასულიყო. მეც დავპირდი ბ. ქურდიანს და დაპირებულს სავსებით შევასრულებ, ოღონდ ყური დამიგდეთ.

„მეცნიერებისაგან გამოკვლეულია — მითხრა ინჟინერმა თქვენთვის გადმოსაცემად, — რომ კაცის სხეულის 70 ნაწილი შესდგება წყლისაგან; ზოგიერთ მცენარეში და ნაყოფში კიდევ უფრო მეტი წყალი.

ქედან თქვენ ცხადათაჰ ხედავთ, რომ წყალს დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი არამც თუ ცხოველისათვის მცენარისათვისაც კი და ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ გარჩევა კარგი და ცუდი წყლისა. მეორეს მხრივ საჭიროა რომ კაცმა შეჰქმნას ისეთი პირობები, რომ წყლის შოვნა და მოპოვება რაც შეიძლება გაადვილებული იყოს. ამ მხრივ კი ჩვენი მხარე ძალიან დიდ გაჭირებაშია ჩავარდნილი. ხშირად მინახავს პაწაწა წყარო, რომლის გვერდით სამოცი ოთხმოცი სული დედაკაცები და კაცები ელოდებიან ჯერს, რომ შეუდ-

გან თავიანთი კოკა და მიიღონ სიცოცხლის მომცემი დასალევი წყალი. თითქმის ნახევარი ოჯახის წევრებს შრომა წყლის შოვნა-მოტანაზეა გადაგებული და ამიტომ თუ ასეთ პირობებში მცხოვრები ხალხი წინ არ მიდის, სხვათა შორის ეს ამ უწყლობის დიდი ბრალიც არის. რაც შეეხება წყლის აკარგობას ამაზე სამწუხაროდ ჩვენი ხალხი ძირეულ ნაკლებათ ჰფერობს.

საქეიმო მეცნიერება გადაწყვეტით ამტკიცებს, რომ ათასნაირი ავადმყოფობა წარმოსდგება იმ პაწაწა ბაქტერიებისაგან, რომელნიც უწმინდურ წყალში ჩნდებიან. სახადი, ხორველა და სხვა ათასნაირი ავადმყოფობანი ჩნდებიან პაწაწა აცხოველებისაგან, რომლებიც უწმინდურ წყალში მილიონობით ბუდობენ. ჩვენში კი, სოფლის თავში, რომ წყალი მოდის, იმ წყალს ყურს არ უგდებენ, რომ სოფლის ბოლომდის სუფთად ჩაიყვანონ.

ეს წყალი მიდის და გზადაგზა ათასნაირი სიბინძურე ჩადის შიგ. ამნაირად მოწამლულ წყალს ჰსმენ სოფლის ბოლოში და ხდებიან ავად. სოფ. ანთოკში გაკეთებულია გუბე, სადაც ღორებიდან დაწყობილი დისაქონლამდის შიგ იწკუმპლებიან და ჰბილწავენ წყალს. — ამავე წაბილწულ წყალს ჰსვამს ხალხი და განცვიფრებული რჩები როცა ჰხედავ, რომ ხალხი ჯერ კიდევ სულ არ გაწყვეტილა თუმცა კი როგორც გადმომცეს ამ ორმოცის წლის განმავლობაში ხალხს არამც თუ არ მოჰმატებია არამედ შემკირებულა მათი რიცხვი. მე არ მოგაწყენთ თავს მაგალითებით, თუმცა შემეძლო ასობით მომეყვანა, როგორც



გარედ-კახეთიდან, აგრეთვე ქიზიყიდან და თვით ტურთა კახეთიდანაც. უნდა ვაღვიარო რომ ამ უკანასკნელ წლებში ბევრმა სოფელმა გაახილა თვალი და კიდევაც გაიყვანა მიღებით სალი სასმელი წყალი. მეტი ნაწილი ჩვენი სოფლებისა კი ჯერაც დიდ გაჭირებას განიცდის უწყლოების გამო.

ბევრს ალაგას იქაც კი, სადაც საკმარისად ჰქონდა თწყალი, წყალმა იკლო, დაშრა და სოფელი იძულებული გახდა სხვაგან გადასახლებულიყო და დაეტოვა მამაპაპეული ადგილები. (მაგალითები: მალარო, ბოდბე ალაგ-ალაგ კარდანახში, საგურამოში და სხვა). სადაც კი ტყე გაჩნდეს, ყველგან შედეგად წყლის დაშრობა მოჰყვა. ქალაქის ახლომახლო სოფლებში ხომ ნახშირის გამოწვამ მეტად გაანადგურა ტყეები. ტყეებს ანადგურებენ აგრედვე კერძო მემამულეები და ფიქრადაც არ მოსდით, რომ ტყის განადგურებას გადასახლება მოჰყვება ხოლმე, რადგან სასმელი წყლის შოვნა ძრიელ სჭირდება.

რომ წყაროები შრება და თანდათან ბევრი მათგანი სრულიად გაჰქრება, ეს ეჭვს გარეშეა. მაშასადამე საჭიროა ხელოვნურად გავაჩინოთ წყარო, თუ ბუნებრივი წყარო აღარ გვექნება. ამ მხრივ ჯერ ჯერობით ჩვენი მხარე კარგს მდგომარეობაშია. ჩვენი სოფლები გარე-კახეთში, რომ გადაათვალიეროთ, შეამჩნევთ რომ მეტ ნაწილ სოფლებს გვერდზე ჩამოსდის ხევი. ეს ხევები ხშირად დიდ უბედურებას დააწვევენ ხოლმე მცხოვრებლებს, მაგრამ სამაგიეროდ მათ ერთი კარგი ზნეცა ჰსჭირთ. ხევების სათავე ხშირად ძალიან ღრმად არას ჩაჭრილი მთებში.

თუ მთებს რამე წყალი გაჰვარდებათ, უეჭველად ამ ხევებში უნდა მოჰყვეს. ხევში ჩასული წყალი იკარგება ქვიშაში, თან და თან ეშვება ძირს და ამნაირად მიდის მდინარისაკენ. აი ამნაირ ხევებს თუ გასჭრით ღრმად, შიგ უეჭველად იპოვით ანკარა წყალს, ქვიშაში გაწმენდილს-გასუფთავებულს. საჭიროა მხოლოდ შეურჩიოთ ადგილი, რომ ნაპოვნს წყალს სოფლისკენ დაქანება ჰქონდეს, მიღებით გამააცილოთ ხევი და შემდეგ წყალი თქვენს განკარგულებაში იქნება. რადგან თითქმის ყველა სოფელს ხევი მახლობლად ჩამოუდის, თუ ხარჯს არ შეუშინდებიან, წყლის პოვნა და გაყვანა თითქმის ყველგან შეიძლება, არამც თუ სასმელისა, ცოტა სარწყავისაც კი.

ჩვენ ქვეყანას ბევრი შემოჭნატრიან სხვათა შორის იმისათვის, რომ მზე უხვს და ხანგრძლივ სითბოს გვიგზავნის. იქ სადაც სითბო და წყალია, ნოციერი მიწა ხალხს არ მოამშვეს. ამისათვის უწინდლიდანვე ძველი დროის ხალხს გაჰყვანდა სარწყავი არხები. ეგვიპტეს, ისპანიას, საფრანგეთის და იტალიის ძველის ძველად გაკეთებულს და გაყვანილს არხებს ეხლანდელი ინჟინრები განცვიფრებაში მოჰყავთ თავის ხელოვნებით, სიმკვიდრით და სიდიადით.

ჩვენს ქვეყანაშიაც კარგად სცოდნიათ სარწყავი არხების მნიშვნელობა უწინდელს დროში. ეს მე, უნდა გამოგიტყდეთ, ფრიად მაკვირვებს. ცნობილია რომ უწინ ჰავა უფრო ნესტიანი იყო, წვიმები უფრო ხშირი და მაინც არ დაუშურნიათ აუარებელი შრომა და ხარჯი, რომ გვეყვანათ სარწყავი არხები. ეხლა კი ჩვენს განათლებულს



დროში იმავე ხალხის ჩამომავლობა შიმშილს განიცდის და სარწყავ არხს კი ვერ ახერხებს გაიყვანოს. თამარ დედოფლისეული არხების ნაშთები ქართლში და კახეთში სწორედ რომ უნდა გვარცხვენდეს ეხლანდელ ხალხს. თუ კი მაშინ, როცა მიწაც საკმარისი ჰქონდათ, არც ისე გამოფიტული იყო იგი როგორც ეხლა, თუკი მაშინ ახერხებდნენ არხების გაყვანას, რა დაგვემართა ჩვენ ეხლა, რომ სარწყავი წყლის უქონლობით ხშირად შიმშილს განვიცდით. მერე განა სარწყავი წყალი მართოსისველეს აძლევს მიწას. ეგვიპტეში, სადაც მიწიდან წელიწადში სამ-ოთხს მოსავალს იღებენ, მიწა სრულიად გამოფიტებოდა და მოსავალს აღარ მისცემდა, რომ მღვრიე სარწყავი წყალი არ აზოხიერებდეს, არ ასუქებდეს მიწას. ჩვენში, სადაც სასუქი ვენახებისთვისაც არა ჰყოფნით. სარწყავი წყალი მთებიდან ჩამონარეცხ სინოცივრეს შეჰმატებდა მინდორს და გაანაყოფიერებდა. სხვა და სხვა ქვეყნებში, ეგვიპტეში, ინდოეთში, დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ მინდვრები, რომლებიც ირწყვებიან მდინარის წყლით, ერთი მეოთხედით მეტს მოსავალს იძლევიან, ვიდრე მინდვრები, რომლებსაც წყაროს წმინდა წყლითა რწყავვენ... ინდოეთში, იქ, სადაც მდინარის წყალი აქვთ, სასუქს სრულობით არ ჰსაჭიროებს მიწა. საცა წყაროს წყალია იქ კი უეჭველად უხდებათ სასუქის შეყრა.—სარწყავ წყალს კიდევ სხვანაირადაც იყენებენ. იქ, სადაც შიში აქვთ ან თავისი გაჩენისა, ან კალიისა ნახნავზე, ან მოსავალში, მიუგდებენ ხოლმე წყალს. ნახნავს ნაპირები ცოტად ამაღლებული აქვს. წყალს რამდენიმე დღე-ღამე

აყენებენ ნახნავში და ამნარად ჰყლენ მოსავლის მტრებს. ცნობილია აგრდევ, რომ ვენახების საშინელი მტერი—ფილოქსერა სარწყავ ვენახებს თითქმის ვერაფერს აკლებს. აი ყველა ეს ჩვენ უნდა გვაფიქრებდეს, რომ რაც შეიძლება მალე დავებატრონოთ მდინარე წყლებს, რადგან რუსულ კანონით ვინც წინ ჩაიგდო წყალი ხელში, წყალი იმისია და თუნდა სათავე წყალს შენს მიწაზედაც ჰქონდეს, შენება აღარა გაქვს სარწყავი არხი გაიყვანო, თუ წყალი ქვეით უკვე დაჩემებულია. წყალი კი ეხლა წყლის ინსპექციის წყალობით დღეს თუ ხვალ სრულიად დაჩემებული იქნება გადმოსახლებულ რუსებისათვის, რომელთათვისაც ეხლა კეთდება უშველებელი სარწყავი არხები. აი ამისათვის, ვიმეორებ, დაშურებაა საჭირო არხების გაყვანის საქმის მოწყობისა. მერე, იკითხავთ, შესაძლებელია რომ ჩვენმა მღორე იორმა და მეტადრე ალაზანმა მორწყოს გარეთ კახეთი და კახეთიო! მე გეტყვით, როგორც სპეციალისტი, რომ ტენიკურად სრულიად შესაძლებელია და არც ძნელი საქმეა ივრის კაკაბეთამდის ჩაყვანა, ალაზნით მთელ კახეთის და ქიზიყის მინდვრების მორწყვა. მაგრამ ამ საქმის პირველად სჭირია მზრუნავი პატრონი. ეს ერთი სოფლის საქმე კი არ არის, მთელი მხრის საქმეა. ჩვენ კი ჩვენდა საუბედუროთ ჯერაც არა გვყავს ესეთი საერთო ინტერესების მზრუნველი. ამ ნაირ მზრუნველობას ხალხს რუსეთში ერობა უწევს. ერობა რომ გვექონოდა, არხებიც გაყვანილი იქნებოდა აქამდის და კიდევ ათასი სხვა კეთილდღეობა გვექნებოდა, მაგრამ... არ გვაძლევენ... ამიტომ ჩვენც სხვა ნაირად უნდა ვუპატრონოთ ჩვენს



თავს. მე ეხლა ერთად ერთ საშუალებად მიმაჩნია ამოვიჩიოთ ყველა სოფლებიდან თითო კაცი და მივანდოთ სარწყავ წყლის კითხვის წინ წაწევა. ხმა მალლა ვაღვიაროთ, რომ ერობის უქონლობა ყოველის მხრივ ხელს უშლის ჩვენს სამეურნეო წარმოების წინ მსვლელობას.“

**ვ. რცხილაძე.** ბატონებო! აღარც დრო გვაქვს და აღარც ვინ სიტყვას თხოულობს. მგონია რომ ყოველი თქვენი საჭიროება, ავად თუ კარგად, გამოითქვა დღეს და გუშინ. ნება მიბოძეთ მოგახსენოთ ეხლა ჯერ რაც გუშინდელმა თათბირმა გადასწყვიტა და შემდეგ ის დასკვნანი, რაც დღევანდელ საუბრიდან გამომდინარეობს. ყოველ დადგენილებას ცალკ-ცალკე მოგახსენებთ და რაც სასურველი იყოს, დღევანდელმა მრავალრიცხოვანმა კრებამ ხელის აწევით მალლა დაადასტუროს.

ამ სახით კრებამ მიიღო ყველა წინააღმდეგობის გარდაწყვეტილებანი ჰ ზედმეტად სცნო სასურველად კიდევ შემდეგი:

1. დაასრულოს საგარეჯოში ქალებისათვის სასკოლისა და სასკოლისათვის

2. სოფლის განაჩენის გამოტანა იგონიდან ახლებით საწვავი წყლის გაუქმების შესახებ.

3. ადგილობრივ კომიტეტების ამოწმება. კრებამ მოითხოვა რომ საგარეჯოს, ნინოწმინდის და გიორგიწმინდისათვის ადგილობრივი კომიტეტი ამ თათბირზედვე იქმნეს ამორჩეული ჩვენის თანადასწრებით. ხოლო პატარძელს, ხაშმს, მარტყოფს და სხ. სოფლებს თავიანთის შეუძლიანთ ამ კომიტეტების არჩევა, როდესაც მოახერხებენო.

საგარეჯოს ადგილობრივ კომიტეტის, წევრებად დასახელებულ იქმნენ რამდენიმე პირი.

ხმის დიდი უმრავლესობით ამორჩეულ იქმნენ: ნიკოლოზ ბახიერაშვილი, იერემია გულისაშვილი, მდევლი ალექსი გულისაშვილი და გლეხი თედო გზირიშვილი.

შემდეგ ერვენა ხალხს ინსტრუქტორის მიერ მომზადებული კარაქი და საგარეჯოს თათბირი ამით გათავდა\*).

ჯერ თათბირი არ დაწყებულა, რომ ნიკოლოზ ბახიერაშვილმა გვთხოვა ქართულ სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენლებს, თათბირის შემდეგ დაესწრებოდით სადილის, რომელსაც გვიმართავს ადგილობრივი ინტელიგენცია.

საათის სამზე გაიშალა სუფრა. თამადათ ამორჩეულმა თავადმა ს. ჩერქეზიშვილმა თავის სიტყვაში აღნიშნა, თუ რამდენად სასარგებლოა ასეთი თათბირის მართვა სოფლად, მაღლობა გამოუცხადა ქართულ სამეურნეო საზოგადოებას თათბირის გამართვისათვის საგარეჯოში და მთხოვა ეს მაღლობა საზოგადოების საბჭოსათვის გადმოემცა, რასაც მე, თანახმად ჩემი დაპირებისა, სიამოვნებით ვასრულებ.

საგარეჯოს თათბირზე ყველა საქმეების მოწყობაში ჩვენი ორივე ხელი მორჩილი და ყველაფრის გამკეთებელი იყო საგარეჯოს მამასახლისი, დიმიტრი დ. ქაიხოსროშვილი რომელმაც წამოსვლის დროს თავის მხრივაც და სოფლის მხრივაც დიდი მაღლობა გამოგვიცხადა ჩვენ, როგორც სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენლებს, ჩვენ მიერ გაწეულ შრომისათვის.

\* ) გუთნებში ება ხუთი უღელა ხაი.



# მღზუნება

ინსტრუქტორ ალ. კახელაძისა.

ენკენისთვის ბოლო რიცხვებში ვიყავი ერწოში. ერწო, როგორც მოგეხსენებათ, წარმოადგენს ერთს მთლიანს რაიონს 1500 კომლი მოსახლით. რადგანაც აქ არ არსებობს საკრედიტო ამხანაგობა, ამიტომ აქ მქონდა საუბარი საკრედიტო ამხანაგობის დაარსების შესახებ. რჩევა სიამოვნებით მიიღეს და დაადგინეს—დაარსდეს საკრედიტო ამხანაგობა. შევედგინეთ თხოვნა და ნებართვის მოსაღებად წარვუდგინეთ ტფილისის საგუბერნიო წვრილი კრედიტის დაწესებულებათა კომიტეტს...

ნ ამა ოქტომბერს სართიქალელ მღვდლის დავითაშვილის თხოვნით ვიყავი სოფ. სართიქალაში მერძვეთა ამხანაგობის დაარსების თაობაზე. სართიქალელებს, როგორც თვითონვე იძახდნენ, ჰქონიათ საკმარისი საძოვარი და სათიბი მინდვრები და კარგა ბლომად საქონელიც. საძოვრების შესახებ გლეხები აღნიშნავდნენ, რომ არამც თუ ჩვენი სამყოფი გვაქვსო, არამედ თვით ნემენცებიც ჩვენი მინდვრებით გამოდიან იოლადა. რძეს სართიქალელები უზიდავენ ნემენცების სოფლებში არსებულს კერძო რძის მექარხნებს—ზოგი ლუდვიგა ფილიპის და ზოგიც ბახტამიანცს. როგორც ფილიპი, აგრედვე ბახტამიანცი ზამთარ ზაფხულ რძეს ჰგზავნიან ტფილისში გასასყიდად. ფილიპი რძეს უზიდავს ჩიჩკინს, ბახტამიანცი კი აძლევს რძეს სხვა-და-სხვა საავადმყოფოებში და ურჩავს სახლებში. ზაფხულობით, როცა რძე მოქარ-

ბებული აქვთ, ზედმეტს რძეს, რომელიც რძედ არა საღდება, ჰხდიან ნაღებს. ნაღებისას აკეთებენ „სმეტანას“, ხოლო ნაღებ მოხდილ რძეს ფუთ 30 კაპეიკად ჰყიდიან ადგილობრივ, კუმელ და ტაბახმელელ შემაწვნეებზე, რომელნიც თვითონვე საამხანაგოდ ეზიდებიან რძეს სართიქალიდან ტფილისში და აქ იყოფენ...

რძეს, როგორც იძახდნენ კრების დამსწრენი. ზემოხსენებული მექარხნენი ქართველენისაგან გაცილებით ნაკლებს ფასში იღებენ, ვიდრე ნემენცებისაგან,\*) რადგანაც პირველებს ზამთრობით არ უწველიათ ძროხები. გლეხები იძახდნენ, რომ ზამთრობით იმიტომ არა ვწველით, რომ ფასს ნაკლებს გვაძლევენ და სახეირო არ არის ძროხების ბავაზე კვებაო. ფასები რომ ხელსაყრელი იყოს, მაშინ ჩვენც დაუწყებთ ძროხებს ზამთრობით წველასაო. მათ გაუგიათ, რომ ლილოვლები ფუთ რძეს საშუალოდ მთელი წლის განმავლობაში ჰყიდიან 1 მ. 37 კ. ეს ფასები ძლიერ მოსწონებიან. ამიტომ გადაუწყვეტიათ ამხანაგობის დაარსება და მომმართეს მე დარიგებისათვის. მე ყველაფერი ავუხსენი დაწვრილებით ამხანაგობის დაარსების შესახებ და, იმედია, უეჭველად შეუდგებიან საქმეს გაზაფხულიდან გაზაფხულამდე, კი ვისაც რძე აქვს, პირობით ვალდებულნი არიან რძე უზიდონ მექარხნებს. სართიქალე-

\*) ნემენცებს აძლევენ 1 მ. 13 კ., ქართველებს—70 კ ფუთ რძეში.



ლებს უკვე ჰყავთ მომზადებულნი თა-  
ვიანთივე კაცი, რომელსაც სამი წე-  
ლიწადი უმუშავნა ფილიპის რძის-  
ქარხანაში ..

არ შემიძლიან ორიოდ სიტყვით  
არ აღვნიშნო სართიქალის საკრედიტო  
ამხანაგობის მოქმედება. ეს ამხანაგობა  
წლებულს გაზაფხულზე დაუარსებიათ.  
ამ დაწესებულებას მიუხედავად ხანმოკ-  
ლე არსებობისა უკვე თვალსაჩინო კვა-  
ლი დაუჩვენია სართიქალელების ცხოვ-  
რებაზე. საინტერესოა თვით ამხანაგო-  
ბის დაარსების ისტორია. როდესაც  
ქართველებს განუზრახავთ საკრედიტო  
ამხანაგობის დაარსება, ნემენცებს უც-  
დიათ ხელის შეშლა. თურმე ავრცელებ-  
დნენ ქართველებში ხმებს, არ გინდათ  
„ბანკი“, რადგანაც ვალებში ჩაცვივ-  
დებითო. ფული, როცა გიჭირდეთ ისევ  
ჩვენსგან ისესხეთ როგორც აქნობამდი

იქცეოდითო. ნემენცები თურმე საკ-  
რედიტო ამხანაგობის დაარსებამდე  
ხელგაშლით აძლევდნენ ფულს ქარ-  
თველებს გაჭირვების დროს. გაცემულ  
სესხში იღებდნენ სათიბებს, თითოს  
2—3 მანეთად, სახნავ მიწებს, იკვეთავ-  
დნენ ყურძენს და ჭაქას და ან იშვე-  
ლიებდნენ მკათათვეში. სესხის სარგე-  
ბელში სარგებლობდნენ თავისი კლი-  
ენტების სარწყავ წყლის ჯერით და  
სხვა. „ბატონ-ყმობა დიდი ხანია გადა-  
ვარდა ყველგან, ჩვენ კი ახალი ბატო-  
ნები გაგვიჩნდნენ ნემენცების სახით; ან  
სხვა რა სახელი უწოდოს კაცმა, რო-  
დესაც ისეთი ნემენცი არ არის, რო-  
მელსაც 2—3 ჩვენებური კაცი არა ჰყავ-  
დეს მოჯამაგირე-ყმად, მაგრამ, იმედია,  
მალე დავახწიოთ თავიჩვენი ბანკის  
საშუალებით და ჩვენი ქონება ჩვენვე  
გამოვიყენოთ“, — იძახდა შეგნებული  
გლეხი აბრაამა ჭონქარაული...

სამეურნეო შურნალი

„მოსავალი“

წელიწადი მკესუთე

მიიღება ხელის-მოწერა 1913 წლისათვის

შურნალი ღირს ფელიწადში 3 მან.

მისამართი: Тифлисъ, Бяратинская, № 5.

„მოსავლის“ რედაქციაში ისყიდება შურნალის კომპლექტები 1909 წ.,  
1910 წ., 1911 წ. და 1912 წ., უცდო და ყდაკაზმული.

იყიდება აგრედვე ცალკე გამოცემები:

„კანონი“ მეღვინე-მევენახეთა კომიტეტისა	15 კაპ.
„იონჯა“	5 „
„კართოფილი“	5 „
„ბამბის თესვა-მოყვანა“	5 „
„ქიმიკა როსკოსი“ (—მეორე გამოცემა)	30 „
„საზოგადოებრივი ცხოვრებიდამ და შევიცარიის ძირითადი კანო- ნები	25 „
„კრებული არიმეტიკული ამოცანების	50 „
„მცენარენი და ცხოველნი“	40 „

რედაქ.-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე